# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 15 აგვისტო 2008 №187 (3411) ფასი 50 თეთრი


# РУССКАЯ КУЛЬТ-УРААА

# რომელიც ტანკის ლულაში ეტევა



# ВИШНЕВЫЙ АД ДЛЯ ГРУЗИН ОТ ГОСПОД ТОЛСТОЕВСКИХ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ ლიტველები ვართ, ისინი ქართველები არიან!



ქახა
ბერიძე
პეკინიდან
საგანგებოდ
„სარბიელისთვის"

**ოლიმპიური** თამაშები რომ უდიდესი სპორტული სანახაობაა ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. სპორტის 28 სახეობა, 10 ათასზე მეტი სპორტსმენი, დაძაბული ბატალიები, სიხარულისა და მწუხარების ცრემლები... მოკლედ, აგერ საუკუნეზე მეტია, ოლიმპიადა მსოფლიოში უდიდეს სპორტულ ღონისძიებად ითვლება. მართალია, ტელეეკრანთან გაცილებით მეტი შეჯიბის ხილვაა შესაძლებელი, მაგრამ თუ გინდა ოლიმპიადის ხიბლი ბოლომდე შეიგრძნო, ერთხელ მაინც უნდა დაესწრო...

ჩვენი სპორტსმენების „გადამკიდე" გუშინდლამდე სხვა შეჯიბრებებზე დასწრებას ვერ ვახერხებდი. კალათბურთი, ფრენბურთი, ფინალები ცურვაში — მათი ცოცხლად ხილვა ერთ რამედ ღირს, ამიტომაც გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, რომელიმე მათგანს დავსწრებოდი.

14 აგვისტოს შეჯიბრებათა განრიგს ჩავხედე და კალათბურთზე წასვლა ვარჩიე, ლიტვა-რუსეთის დაპირისპირებაზე.

დილას მთავარ პრესცენტრში რამდენიმე ლიტველმა კოლეგამ მითხრა, დღევანდელ მატჩზე თქვენი დროშების წაღებასაც ვაპირებთ და ამით გამოვხატავთ სოლიდარობასო. სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არ დავიჯერე, თუმცა, ცხადია, მადლობა მაინც გადავუხადე. მეორე მხრივ კი, კიდევ ერთი დამატებითი სტიმული მომეცა, რათა ამ მატჩს დავსწრებოდი.

საკალათბურთო დარბაზში მეგობარ ჟურნალისტ გიგა გურასაშვილთან ერთად შეხვედრის დაწყებიდან რამდენიმე წუთის დაგვიანებით მივედი და ორთავემ უმალ ლიტველ გულშემატკივართა ტრიბუნას გავხედეთ. ვაღიარებ, ბალტიისპირელი ჟურნალისტების სიტყვებში ეჭვი უსაფუძვლოდ შემპარვია. მათ ტრიბუნაზე მართლაც ჰქონდათ ჩვენი ქვეყნის ხუთჯვრიანი დროშა და მცირე ზომის ალმები!

„ჩვენ პატივს ვცემთ ქართველ ხალხს და თქვენს ქვეყანას. გულწრფელად გული გვტკივა იმ საშინელი ამბების გამო, რაც საქართველოში ხდება. ქართული დროშის აღმართვა არის ის მცირედი, რითაც აქ პეკინში შეგვიძლია გვერდში დაგიდგეთ, გაგამხნევოთ და პატივისცემა გამოვხატოთ. თუ გავიმარჯვებთ ჩვენს ხალხთან ეს მოგება თქვენც მოგეძღვნებათ. გარდა ამისა, ძალიან გაგვიხარდა თქვენი სპორტსმენების მიერ მოპოვებული ოქროს მედლები, იმედია, კიდევ არაერთ მედალს მოიპოვებთ" — მითხრეს ლიტველებმა, როდესაც მათ ტრიბუნასთან მივედი.

მივედი და, რა თქმა უნდა, ბოლომდე მათთან ერთად დავრჩი და კირილენკოს, ხრიაპას და კომპანიის წინააღმდეგ ვუგულშემატკივრე. ბოლოს კი ლიტველივით გავიხარე თამაში რუსების დამარცხებით რომ დასრულდა.

სხვათა შორის, ლიტვის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი არტურას პავილუნასი ჩვენს ქვეყანაში არაერთხელ ყოფილა და ჩვენს ეოკ-თან მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს.

13 აგვისტოს ტრიუმფალური შედეგის შემდეგ გუშინდელი დღე ჩვენი სპორტული დელეგაციისთვის უიღბლო გამოდგა. იმედი მოგვეცა, რომ ყინული გალღვა, სპორტსმენებიც მეტად თავდაჯერებულები გახდებოდნენ და კიდევ ერთხელ დავანახებდით მსოფლიოს ჩვენს სპორტულ სიძლიერეს, რაშიც ეჭვი აღარც არავის ეპარება...

ოლიმპიური თამაშების დაწყებიდან მეხუთე დღეს მოპოვებული მედლების მხრივ მე-10 ადგილზე ვიყავით. რუსეთს ორი საფეხურით ჩამოვრჩებოდით, ხოლო ჩვენს უკან იყვნენ საფრანგეთი, ესპანეთი, უკრაინა...

ნამდვილი სენსაცია — ასე მონათლეს BBC-მ, CNN-მა, სხვა უცხოურმა სააგენტოებმა და გაზეთებმა ეს ამბავი.

რა თქმა უნდა, ილუზიებით არ ვიკვებებით და ვიცით, რომ ამ პოზიციის შენარჩუნება ოლიმპიადის ბოლომდე ჩვენთვის უტოპიაა და საბოლოოდ 30-ეულში შესვლაც წარმატებად ჩაითვლება, მაგრამ როდესაც თუნდაც ერთი ან ორი დღე მოწინავეთა შორის ხარ და გაქვს შანსი კიდევ რამდენიმე დღით პოზიციები გაიმყარო, ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.



ლიტველებმა რუსთა ჯილას ანდრეი კირილენკოს მაისურა აჭამეს

... ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე რამაზ ნოზაძე ტურნირის უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა და არც ბადრი ხასაია გახლავთ ხელწამოსაკრავი სპორტსმენი. ამიტომაც იყო, მათ საგულშემატკივროდ ორმაგი ენერგიით რომ დავირაზმეთ, თუმცა სამწუხაროდ, მოლოდინმა გვიმტყუნა. ხასაიაც და ნოზაძეც საკუთარ თავს არ ჰგავდნენ, თითქოს ორთავე გამოფიტული იყო.

მათი ორთაბრძოლების დეტალურად აღწერით თავს არ შეგაწყენთ, რადგან სათქმელიც ბევრი არაფერია. განსაკუთრებით მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონის რამაზ ნოზაძის სუსტმა გამოსვლამ გამაოცა. ორი ბრძოლის მანძილზე ერთი ილეთის გაკეთებაც ვერ შეძლო და პირველი შეხვედრაც ბერძენ მეტოქესთან მხოლოდ იღბლის წყალობით მოიგო.

მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ ალბათ უკეთესიც იყო, ჩეხ მოჭიდავესთან რომ დამარცხდა, რადგან შემდეგ შესანიშნავ ფორმაში მყოფ რუს ასლანბეგ კუშტუნოვთან მარცხი უფრო არასასიამოვნო იქნებოდა. ფაქტია, რომ ჩვენი კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრები, ისევე როგორც ოთხი წლის წინ ათენში, პეკინშიც კვლავ ერთი მედლის ამარა დარჩა, თუმცა ხარისხი კი გააუმჯობესა.

მშვილდოსნობაში ხათუნა ნარიმანიძემ დასანანი მარცხი იწვნია მექსიკელ მარიანა ავიტასგან, რომელიც, 14 წლისაა და რომელიც სოკ-მა გამონაკლისის სახით დაუშვა თამაშებში. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ყველაზე ხანდაზმული მონაწილე პეკინში იაპონელი ცხენოსანი კაცია, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, 67 წლისაა და 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადაზე უასპარეზია...

ძიუდოში მედლის მოპოვების შესანიშავი შანსი გაუშვა ხელიდან ლომერ ჟორჟოლიანმა, ჰოლანდიელ გროლს ვერაფერი მოუხერხა, არადა, მანამდე რეპეშაჟში ლამაზად დაამარცხა ალჟირელი, რუმინელი და კორეელი მოწინააღმდეგეები. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ლომერი მთლიანად სახეშეცვლილი იყო, აშკარაა, რომ ძალზე განიცდიდა, თითქოს ვერ დაიჯერა, ოლიმპიურ მედალთან რა ახლოს იყო.

„2012 წელს ლონდონშიც აუცილებლად საქართველოს სახელით გამოვალთ. ეს ჩვენთვის პირველი ოლიმპიადა იყო და მაქსიმალურად ვეცადეთ, საქართველო გვესახელებინა. ჩვენ ქართული პასპორტები გვაქვს და ვალდებულნი ვართ, ქვეყნის სახელი არ შევარცხვინოთ. ძალიან ვწუხვართ, რომ ბელგიელებთან დავმარცხდით, თუმცა თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ ჯგუფში რუსეთთან გამარჯვებით კარგი საქმე გავაკეთეთ" — მითხრეს საქამ და რთველომ, ბელგიურ დუეტთან მატჩის შემდეგ.

დღეს ძიუდოისტთა ტურნირს მძიმე წონის ათლეტები დახურავენ. ლაშა გუჯეჯიანს კენჭისყრით გაუმართლა და ძალზე ხელსაყრელი ბადე აქვს, დანარჩენს კი უშუალოდ ორთაბრძოლები დაგვანახებს.

კრივში ნიკოლოზ იზორია აზერბაიჯანელ მეტოქეს შეებრძოლება და უმძიმესი დაპირისპირება ელის, რადგან აზერბაიჯანელებს კრივის საერთაშორისო ფედერაციაში და სამსაჯო კომისიაში რამდენიმე გავლენიანი პირი ჰყავთ, რომლებსაც შედეგზეც შეუძლიათ გავლენის მოხდენა.

პლაჟის ფრენბურთში მამაკაცებს შორის გეორ-გია, რომლებიც ჯგუფიდან საუკეთესო მესამე ადგილით გავიდნენ, ავსტრიელებს დაუპირისპირდებიან და იმედია, პეკინის თამაშებზე ეს მათი ბოლო მატჩი არ იქნება.

ძალოსნობაში კი ოლიმპიური დებიუტი ექნება რაულ ცირეკიძეს.

ბოლოს კი ვიტყვი, რომ გუშინ საღამოს ოლიმპიური სოფლის მესვეურებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს მანუჩარ კვირკველიას და ირაკლი ცირეკიძეს. მათ მიერ მოპოვებული მედლები პეკინი 2008-ზე გათამაშებული ოქროს კომპლექტიდან რიგით 65-ე და 67-ე გამოდგა.



ხათუნა ნარიმანიძე

# ნარიმანიძემ იღბალს ააცილა

## ქართველის პეკინი ბავშვმა დაასრულა

**აბა,** როგორ ვიფიქრებდით, რომ გამოცდილი ხათუნა ნარიმანიძე 14 წლის მექსიკელ მარიანა ავიტასთან დამარცხდებოდა მშვილდოსანთა ინდივიდუალურ შეჯიბრში 70 მეტრზე. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ქართველმა საკვალიფიკაციო სროლებში მე-4 ადგილი დაიკავა და ოცდამეთორმეტე და მეთექვსმეტედფინალები ძალიან დამაჯერებლად მოიგო.

თუმცა ნარიმანიძეზე სასაყვედუროდ ენა ვერ მოგვიბრუნდება. ხათუნამ ოდენ ერთი ქულით 108:109 წააგო, ბოლო სროლა 8-იანში გაარტყა, თორემ შეეძლო დამატებით რაუნდში გადაეყვანა დაპირისპირება.

ისე, ეს 14 წლის მექსიკელიც გვარიანად ყოჩაღი გოგო გამოდგა. ნერვი არ ატოკებია, ისე ზუსტად ისროლა გადამწყვეტ მომენტში. სხვა მხრივ, მართლა გულდასაწყვეტია ნარიმანიძის დამარცხება. მან მერვედფინალიდან გავარდნილ ყველა სპორტსმენზე უკეთესი ქულები დააგროვა. მეტიც, მეოთხედფინალში გასულებიდან კიდევ სამ მშვილდოსანას აჯობა, მაგრამ რად გინდა...

გამარჯვების შემთხვევაში კი ნარიმანიძე ჩრდილოეთკორეელ მშვილდოსანზე გადიოდა, ანუ ნახევარფინალამდე მედლების მთავარ მაძიებლებს არ ხვდებოდა და ეგებ იქ სამეულისთვის გაერტყა.

ამ მექსიკელმა ნორჩმა გოგონამ კი მაინცდამაინც ნარიმანიძესთან გაიგიჟა თავი, თორემ უკვე მეოთხედფინალში ჩრდილოეთთკორეელ უნ სილ კვონთან 99:105 წააგო. გამოდის, რომ ხათუნას ორივეზე უკეთესი შედეგი ჰქონდა, მაგრამ...

**ნიკა ძოწაძე**

# ურიადოვაა თუ ეროდოვა

## ბრაზილიელებმა რუსებს ქართული პასუხი გასცეს

ინგლისურ „დეილი მეილში" ჩვენთვის საინტერესო სტატია ვნახეთ, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს რომ ეხება. რუსმა პლაჟის ფრენბურთელებმა საქა-რთველოსთან დამარცხება რუსეთის სირცხვილად რომ მიიჩნიეს და გაჰკიოდნენ, ქართველებთან არ დავმარცხებულვართო.

„ჩვენ საქართველოსთან არ დავმარცხებულვართ, შეხვედრა ბრაზილიელებთან დავთმეთ" — გაცხარებულებმა თქვეს რუსმა სპორტსმენებმა ჟურნალისტებთან საუბრისას, რაზეც მყის პასუხიც მიიღეს: „ორი წელია, საქართველოს დროშით გამოვდივართ და პეკინშიც საქართველოს წარმოვადგენთ. ტაბლოზე დაფიქსირდა, რომ სწორედ საქართველომ დაამარცხა რუსეთი და არა რომელიმე სხვა ქვეყანამ. ჩვენთვის ეს დიდი სიხარულია" — თქვეს პრესკონფერენციაზე კრისტინამ და ანდრეზამ. ეს პრესკონფერენცია საათნახევარს გაგრძელდა.

გუშინ ეს გამცნეთ, დღეს კი ნახსენებ ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილ სტატიას გთავაზობთ. ჩვენეული მხოლოდ ეს შესავალი და სათაურია...



ანდრეზამ და კრისტინამ პეკინში თავისი საქმე უკვე გააკეთეს, ახლა რენატოს და ჟორჟის ჯერია






ფრონტის ხაზი, რასაკვირველია, სამხრეთ ოსეთის ქვიშაში გადის, მაგრამ შეტევები და ბრალდებები ოლიმპიადაზე, პლაჟის ფრენბურთელთა კორტებზეც გაგრძელდა — ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საკმაოდ რთული შეთანხმებიდან რამდენიმე საათში რუსეთმა და საქართველომ „ჩაოიანგის პარკში" დავა ბიკინებში განაგრძეს.

გაიმარჯვა საქართველომ, რომელმაც გავარდნის ზღვარზე გაიარა და შეჯიბრებას შემორჩა, რუსეთი კი შინ გაამგზავრა.

თამაშის შემდეგ მოქუფრულმა რუსმა ფრენბურთელებმა ქართველთა ნაკრების ბრაზილიელ მოთამაშეებს დროშით ზეიმი უსაყვედურეს.

„ჩვენ დღეს ქართულ გუნდთან არ გვითამაშია — ზიზღიანად უთხრა პირთამდე სავსე საპრესკონფერენციო დარბაზში შეკრებილთ ერთ-ერთმა რუსმა, ნატალია ურიადოვამ — ჩვენ ბრაზილიას ვეთამაშეთ. ისინი ქართველები რომ ყოფილიყვნენ, მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებით დათრგუნულები იქნებოდნენ, მაგრამ ასე არ ყოფილა".

ურიადოვას თანაგუნდელმა ალექსანდრა შირიაევამ კი ჩაურთო: „რა თქმა უნდა, ისინი ქართველები არ არიან. მათ ისიც არ იციან, ვინ არის საქართველოს პრეზიდენტი".



საქა-რთველოსგან რუსების მინგრევამ განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია: ჩვენები უცხოელი ჟურნალისტების ალყაში მოექცნენ



თუმცა, საქართველოს პლაჟის ფრენბურთელთა გუნდი სულაც არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ მათი ტაქტიკა მთლად შავი ზღვის ნაპირებზე არ არის შობილი.

მას მერე, რაც საკუთარი ქვეყნის ნაკრებში ვერ მოხვდნენ, კრისტინა სანტანა და ანდრეზა ჩაგახი საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის, პლაჟის ფრენბურთის დიდი მოყვარულისა და მოთამაშის წინადადებას გამოეხმაურნენ.

„რა თქმა უნდა ვიცი, ვინც არის პრეზიდენტი — განაცხადა სანტანამ, რომელიც შეჯიბრებაში ქართული მეტსახელით, „საქათი" მონაწილეობს — პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია და მე ორი დღის წინ ოლიმპიურ სოფელში მის მეუღლესთან ერთად ვიყავი. მე თავს ქართველად ვგრძნობ. მე ქართული და ბრაზილიური პასპორტები მაქვს და ჩვენ ქართველი ხალხისთვის გავიმარჯვეთ. მოთამაშეთა შორის კი არ მინდა, ასეთი დამოკიდებულება რომ იყოს. მე მათ პატივს ვცემ და არ მინდა ჩვენს შორის ომი გაჩაღდეს".

და მიუხედავად იმისა, რომ იმ ქვეყანასთან, რომლის სახელითაც გამოდიან, მათ მართლაც ძალიან მცირე კავშირი აქვთ, საქართველოს ფრენბურთელებმა მატჩის შემდეგ დროშით ფრიად იზეიმეს, რასაც დიდი ოვაციებით შეხვდა როგორც ქართველთა მცირერიცხოვანი დელეგაცია ასევე მთელი სტადიონი, რომელიც ძლიერ პრო-ქართული გახლდათ.

ამ ამბამდე ორი დღით ადრე ხომ ქართველ ოლიმპიელთა საკმაოდ პატარა გუნდი მათ სამშობლოში დატრიალებული ამბების გამო ოლიმპიადის საერთოდ მიტოვებას აპირებდა. ამ განზრახვაზე მათ ხელი საკუთარმა პრეზიდენტმა აალებინა და მეორე დღესვე ნინო სალუქვაძემ სასტენდო სროლაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

„ჩვენ სამშობლოში დაბრუნება გვქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ პრეზიდენტმა დარჩენა და შეჯიბრების გაგრძელება გვთხოვა — განაცხადა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა — ჩვენთვის ნებისმიერი მცირე გამარჯვებაც დიდი გამარჯვებაა".

# საქა-რთველო გეორ-გიათი გრძელდება

ჩვენმა პლაჟის ფრენბურელებმა პეკინის ოლიმპიადაზე ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს, თუმც გეორ-გიას უფრო გაუმართლა ორ საუკეთესო მესამეადგილოსანს შორის პირდაპირ მოხვდა და მეთექვსმეტედფინაში გავიდა, მეტოქეს კი კენჭისყრის შემდეგ შეიტყობენ.

საქა-რთველომ კი პლეი ოფი ითამაშა და ბელგიურ დუეტთან ბრეედამი-მოასთან დამარცხდა 13:21, 19:21 და ოლიმპიადას გამოეთიშა.

თუმც კრისტინასა და ანდრეზაზე, კარგის მეტი აბა, რა გვეთქმის, ამ გოგონებმა უკვე ოლიმპიადაზე მოხვედრით გაგვიკეთეს კარგი საჩუქარი, მერე ხომ რუსი ურიადოვა-შირიაევას ძლევით, მთელი საქართველო გაახარეს. და იმავე დღეს მანუჩარ კვირკველიას საფინალო ჭიდაობისას, როგორ ქომაგობდნენ ჩვენს ფალავანს, ესეც ხომ ვნახეთ?!

მოკლედ, საქა და რთველომ თავისი საქმე გააკეთეს და ახლა ბიჭების ჯერია, ვისაც აშკარად მეტის გაკეთება ძალუძთ და ვინძლო, პატარა სესაციაც გამოაცხონ. ვნახოთ...

**ნიკა ძოპაძე**

### ჯგუფური ეტაპი. კაცები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | | |
| ვუ-ხუ (ჩინეთი) | 3 | 3 | 0 | 6 |
| მესა-ერერა (ესპანეთი) | 3 | 2 | 0 | 4 |
| გოში-ჰორსტი (ავსტრალია) | 3 | 1 | 2 | 2 |
| ვესიკი-კაისი (ესტონეთი) | 3 | 0 | 3 | 0 |
| **B ჯგუფი** | | | | |
| პლავნისი-სამოლოვსი (ლატვია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| დალჰაუზერი-როჯერსი (აშშ) | 3 | 2 | 1 | 4 |
| ჰაუკმერი-ჰეიერი (შვეიცარია) | 3 | 1 | 2 | 2 |
| ბარასეტი-კონდე (არგენტინა) | 3 | 1 | 2 | 2 |
| **C ჯგუფი** | | | | |
| რიკარდო-ემანუელი (ბრაზილია) | 3 | 3 | 0 | 6 |
| სხალკე-სლეკი (ავსტრალია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| გეორ-გია (საქართველო) | 3 | 1 | 2 | 2 |
| აბრეუ-ფერნანდესი (ანგოლა) | 3 | 0 | 3 | 0 |
| **D ჯგუფი** | | | | |
| გარტმაიერი-დოპლერი (ავსტრია) | 3 | 3 | 0 | 6 |
| არაუჯო-მაგალაეში (ბრაზილია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| კოლოდინსკი-ბარსუკი (რუსეთი) | 3 | 1 | 2 | 2 |
| ლიონე-ამორე (იტალია) | 3 | 0 | 3 | 0 |
| **E ჯგუფი** | | | | |
| ნუმერდორი-სხუილი (ჰოლანდია) | 3 | 3 | 0 | 6 |
| ლასიგა-შნეიდერი (შვეიცარია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| კორინგი-კლემპერერი (გერმანია) | 3 | 1 | 2 | 4 |
| სკარლუნდი-კემპერუდი (ნორვეგია) | 3 | 0 | 3 | 0 |
| **F ჯგუფი** | | | | |
| როზენტალი-გიბი (აშშ) | 3 | 3 | 0 | 6 |
| ასახი-შირატორი (იაპონია) | 3 | 1 | 2 | 2 |
| რონე-ბორესმა (ჰოლანდია) | 3 | 1 | 2 | 2 |
| ბრინკი-დიკმანი (გერმანია) | 3 | 1 | 2 | 2 |

### ჯგუფური ეტაპი. ქალები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | | |
| ჟი-ჟია (ჩინეთი) | 3 | 3 | 0 | 6 |
| მაასეიდე-გლესნესი (ნორვეგია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| ბრეედამი-მუხა (ბელგია) | 3 | 1 | 2 | 2 |
| შვერი-კუნი (შვეიცარია) | 3 | 0 | 3 | 0 |
| **B ჯგუფი** | | | | |
| უოლში-ტრანორი (აშშ) | 3 | 3 | 0 | 6 |
| ტორლეანი-ჰაკედალი (ნორვეგია) | 3 | 1 | 2 | 4 |
| ფერნანდესი-ლარია (კუბა) | 3 | 1 | 2 | 2 |
| საიკი-კასუჰარა (იაპონია) | 3 | 0 | 3 | 0 |
| **C ჯგუფი** | | | | |
| კუკი-ბარნეტი (ავსტრალია) | 3 | 3 | 0 | 6 |
| პაულა-ლარისა (ბრაზილია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| საქა-რთველო (საქართველო) | 3 | 1 | 2 | 2 |
| ურიადოვა-შირაევა (რუსეთი) | 3 | 0 | 0 | 0 |
| **D ჯგუფი** | | | | |
| ცანი-ხუე (ჩინეთი) | 3 | 3 | 0 | 6 |
| გოლერი-ლუდვიგი (გერმანია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| კუტრუმანიდუ-ციარციანი (საბერძ.) | 3 | 1 | 2 | 4 |
| აუგუსტიდაისი-ნელი (ს. აფრიკა) | 3 | 0 | 3 | 0 |
| **E ჯგუფი** | | | | |
| იანგი-ბრანა (აშშ) | 3 | 3 | 0 | 6 |
| რაუ-პოლი (გერმანია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| კრესპო-ესტევესი (კუბა) | 3 | 1 | 2 | 4 |
| მურენი-კადიკი (ჰოლანდია) | 3 | 0 | 3 | 0 |
| **F ჯგუფი** | | | | |
| რიბეირო-როშე (ბრაზილია) | 3 | 3 | 0 | 6 |
| ს. შვაიგერი-დ. შვაიგერი (ავსტრია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| გარსია-კანდელასი (მექსიკა) | 3 | 1 | 2 | 4 |
| არვანიტი-კარანტასიუ (საბერძ.) | 3 | 0 | 3 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლომერ ქორქოლიანმა
ბრინჯაო ჰენკ გროლთან წააგო

# ქორქოლიანის დებიუტი: გამოუცდელი ლომერი ბრინჯაომდე დაიღალა

**ძიუდოისტ** ლომერ ქორქოლიანს (100 კგ) ერთი ნაბიჯი დააკლდა, რომ თავისთვის სადებიუტო ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი აეღო.

ლომერმა პირველ წრეში ბრიტანელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ პეტერ კოუნისს უშეღავათო ბრძოლაში მოუგო. ძირითადი დროის მერე ფრე დაფიქსირდა, ქართველმა კი დამატებითში იუკო აიღო. და მერვედფინალში აზერბაიჯანელ მოვლედ მირალიევს დაუდგა. ჯერ იუკო დათმო და მერე სულაც შებოჭვაზე დაიჭირა აზერმა...

მირალიევმა მოგებები გააგრძელა და ქორქოლიანი დამამშვიდებელში გაიყოლა, სადაც ალჟირელ ჰასან აზუნზე ჯავრი შებოჭვით ამოიყარა, მერე რუმინელი დანიელ ბრატა 2 წუთსა და 15 წამში დააიპონა და ბრინჯაოს ფინალში გადასასვლელ ბრძოლაში სამხრეთკორეელ სანიო იანგის დაუდგა და საკმაოდ აქტიურადაც დაიწყო შეხვედრა. ქართველმა იაქტიურა, კორეელი მსაჯს გააფრთხილებინა, ორჯერ იუკო აართვა, მაგრამ ამის მერე პასიურობა თვითონ დაიწყო, რასაც ორი გაფრთხილება და იუკოს დათმობა მოჰყვა.

ლომერი ერთ კოკასლა იგებდა და ბოლო წამებში დიდი ძალისხმევის შედეგად მოახერხა თავის დაცვა და საბოლოოდ გაიმარჯვა. აი, ბრინჯაოს ბრძოლაში კი ძალა აღარ ეყო. ევროპის ჩემპიონ ჰოლანდიელ ჰენკ გროლთან. გროლმა ქართველი ჯერ გააფრთხილებინა, იუკო აუღო და ზედ ერთი გაფრთხილებაც მიაყოლა.

ქორქოლიანს ბოლო გაბრძოლებაც არ გამოუვიდა და დამარცხდა, თუმც ამ ახალგაზრდა ბიჭისთვის სადებიუტო ოლიმპიადაზე გამოსვლა მაინც დადებითად უნდა შეფასდეს. ის 20 წლისაა და, თქმა არ უნდა, დიდი მომავალი აქვს.

დღეს კი ძიუდოისტებიდან მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანი იჭიდავებს. ლაშა პირველ წრეს გამოტოვებს და მერე გუამელ რიკარდო ბლაზის გაეჯიბრება.

**ნიკა ძოპაძე**

# კლასიკური დასასრული უიმედოდ, უმედლოდ



რამაზ ნოზაძის და თეოდოროს ტუნუსიდის ბრძოლა

**გუშინდელი** წარმატების შემდეგ ქართველი ქომაგი კვლავ მედლების მოლოდინში იყო. მანჩურ კვირკველიას და ირაკლი ცირეკიძის საოცარი გამოსვლის მერე ბადრი ხასაია (84კგ) და რამაზ ნოზაძე (96კგ) ჭიდაობდნენ ბერძნულ-რომაული ნაკრებიდან. ეს ბიჭები თავიანთი ტიტულებით და მონაცემებით მხოლოდ მედალზე ჩააფიქრებდნენ კაცს, სხვანაირად ეს ამბავი ცოტა წარმოუდგენელიც იყო, მაგრამ სამწუხაროდ სურვილები ხშირად არ ემთხვევა შესაძლებლობებს, ჩვენმა ფალავნებმა მედლებისთვის ბრძოლა ვერ მოახერხეს.

ხასაია მერვედფინალში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ თურქ ნაზმი ავულჩას დაეჭიდა და ორ პერიოდში დამარცხდა. თურქმა თავის მხრივ ფინალს ვერ უწია და ქართველს ბრინჯაოს შანსიც მოუსპო.

რამაზ ნოზაძემ პირველ წრეში ბერძენი თეოდოროს ტუნუსიდისს ორ სეტში კი მოუგო, მაგრამ ჩეხ მარეკ სვეცთან ვერაფერს გახდა. მერე ჩეხი ფინალს მიღმა დარჩა და ჩვენი ერთ-ერთი იმედი რამაზ ნოზაძე უმედლოდ დაგვიტოვა.

ასე რომ, „ანტიკოსებმა“ ოლიმპიადაზე გამოსვლა დაამთავრეს. კვირკველიას ჩემპიონობა უმნიშვნელოვანესი იყო, თუმც ქართველი ქომაგი მაქსიმალისტია და მთლიანობაში იქნებ უკმარისობის გრძნობაც გაუჩნდა. სამწუხაროდ, ძალიან მაგარი ბიჭები უმედლოდ დაგვირჩნენ.

ახლა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჯერი დგება, „თავისუფლებიდან“ 19 აგვისტოს ბესიკ გუჩაშვილი (55კგ) იჭიდავებს.

**ნიკა ძოპაძე**

# ბოისამ მალიორკა გააფორმა

**ეროვნული** ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, გამოცდილი ფორვარდი ვლადიმერ ბოისა კარიერას ესპანურ პრიმერადივიზიონში გააგრძელებს. გამართლდა მისი „სარბიელისთვის“ ათიოდ დღის წინ ნათქვამი სიტყვები — ესპანურ კლუბთან მოლაპარაკებული ვარ და სანამ ხელს არ მოვაწერ კონტრაქტს, კლუბის დასახელებისგან თავს შევიკავებო.

ვოვას არც უთქვამს — ეს ამბავი ესპანურ პრესასა და საკუთრივ მალიორკული გუნდის, „ვივა მენორკას“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. ასე და ამგვარად, ვლადიმერ ბოისა ამ კლუბში მინიმუმ ერთ სეზონს გაატარებს. ყოველ შემთხვევაში, მისი კონტრაქტი ერთწლიანია და მერე რა იქნება, ამ ეტაპზე ნაკლებად მნიშვნელოვანია.



ბოისა ეროვნული ნაკრების შეკრებაზე დროულად, 4 აგვისტოს გამოცხადდა და ოთხშაბათამდე იგორ კოკოშკოვის განკარგულებაში იყო. შემდეგ ის სლოვენიაში გაემგზავრა და მალიორკელებსაც, სავარაუდოდ, იქ შეუთანხმდა კონტრაქტის საბოლოო ვარიანტზე. ბოისა ნაკრებს ხვალ შეუერთდება კიევში და უკრაინასთან ამხანაგურ მატჩსაც ითამაშებს.

ბოისასთვის „ვივა მენორკა“ მეშვიდე უცხოური გუნდია. მან ლეგიონერის კარიერა 1998 წელს სლოვენიური „პოსტოინათი“ დაიწყო და შემდეგ ამავე ქვეყნის გუნდებში, „სლოვანსა“ და „ოლიმპიაში“ ითამაშა. 2005 წელს ვოვა იტალიურ „სიენაში“ გადავიდა და ამ კლუბის ღირსებას ორი სეზონი იცავდა. გასულ სეზონში კი ბოისამ ორი კლუბი გამოიცვალა. ვლადივოსტოკის „სპარტაკში“ იანვრამდე ითამაშა, შემდეგ კი ბერძნულ „არისში“ გადავიდა და სეზონიც იქ ჩაამთავრა.

„მენორკა“ არ გახლავთ პრიმერადივიზიონის მოწინავე კლუბი. გასულ რეგულარულ ჩემპიონატში მალიორკელებმა მე-17 ადგილი დაიკავეს და ელიტიდან გავარდნას ბეწვზე გადაურჩნენ. მომავალ სეზონში ამ გუნდს მეტის ამბიცია ექნება, რადგან ბოისასთან ერთადარაერთი მძლავრი ლეგიონერი შეიმატეს.

**რამაზ ყავლაშვილი**

# კადეტები იტალიაში ბაქოს გავლით გაემგზავრნენ

**საქართველოს** კადეტთა ნაკრები გუშინ იტალიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე შემოვლითი გზით გაემგზავრა.



ქვეყანაში მიმდინარე ცნობილი მოვლენების გამო ჩვენი 16-წლამდელები თბილისის აეროპორტიდან ვერ გაფრინდნენ იტალიაში და ამის გასაკეთებლად მეზობელ აზერბაიჯანს მიაშურეს. გელა წულაძის გუნდი გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან შეიკრიბა და მიკროავტობუსებით ბაქოსკენ აიღო გზა.

ჩვენი კადეტები უკვე ხვალ ჩაებმებიან ევროპის ჩემპიონატში: გელა წულაძის გუნდის პირველი მეტოქე ისრაელი იქნება. ქართველი 16-წლამდელების მთავარი მიზანი A დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა და საამისოდ ისინი სათანადოდ არიან მომზადებულნი. კადეტებმა საერთაშორისო ტურნირებში მიიღეს მონაწილეობა ესპანეთსა და თურქეთში, ხოლო სულ ახლახანს ესტონეთში იმყოფებოდნენ, სადაც სამი საკონტროლო მატჩი გამართეს: მასპინძლებთან მოგებ-წაგება გაცვალეს, ხოლო ფინელ თანატოლებთან დამარცხდნენ.

საქართველოს ჯგუფში ისრაელთან ერთად არიან საფრანგეთისა (16 აგვისტოს ვეთამაშებით) და რუსეთის (17 აგვისტო) ნაკრებები. დანარჩენი ჯგუფები კი ასე გამოიყურება:

A ჯგუფი: იტალია, სერბეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი

B ჯგუფი: ესპანეთი, უკრაინა, ლიტვა, უნგრეთი

C ჯგუფი: ხორვატია, პოლონეთი, ლატვია, თურქეთი

მომდევნო ეტაპზე თითო ჯგუფიდან 3 საუკეთესო გადის, რომლებიც ავტომატურად ინაღდებენ ელიტაში დარჩენას, ხოლო ბოლო ადგილებზე გასული 4 გუნდი A დივიზიონის 2 საგზურისთვის ერთმანეთში იბრძოლებს.

***საქართველოს ნაკრების B დივიზიონის მატჩების პირველი წრის განრიგი:***

5 სექტემბერი, თბილისი
საქართველო — ლუქსემბურგი
10 სექტემბერი, დუბლინი
ირლანდია — საქართველო
13 სექტემბერი, თბილისი
საქართველო — სლოვაკეთი
17 სექტემბერი, უმეო
შვედეთი — საქართველო

**ქართველი კადეტები იტალიაში**

**უკანახაზელები**: გიორგი ტეტელაშვილი (ნიკეა), შალვა კაკაურიძე (დინამო), მერაბ ბოქოლიშვილი (აკადემია), დავით გურაბანიძე (ენერჯი-ინვესტი), ირაკლი ჩერქეზიშვილი (ენერჯი-ინვესტი), სერგი მელაძე
**ფორვარდები**: ნოდარ თენეიშვილი (ბათუმი), ნიკა მაღრაძე (ენერჯი-ინვესტი), ლევან ელიაძე (ბათუმი), კახა მუმლაძე (მეგა), გოგო ჯავახიშვილი (აკადემია), ნოდარ შარაბიძე (თსუ)
**ცენტრი**: ირაკლი ალხანაიძე (დინამო)
*მთავარი მწვრთნელი*: გელა წულაძე
*ასისტენტები*: გია კაზანჯიანი, გიორგი ტეტელაშვილი
*ექიმი*: ბიძინა ჯაგაშვილი

# როჯერის ჯერი აღარც პეკინშია

**როჯერ ფედერერი** ისევ დამარცხდა, ამჯერად ჯეიმს ბლეიკთან და ძნელი გასახსენებელია, ამ შავ ამერიკელს შვეიცარიელი დიდოსტატისთვის აქამდე სეტი მაინც თუ ჰქონდა მოგებული.

ფედერერი დიახაც რომ ჩოგბურთის დიდოსტატი და ზოგადად სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ჩემპიონია, მაგრამ თურმე დიდოსტატებსაც გასდით ყავლი და ალპელი გენიოსის დომინანტობაც სრულდება.

ალბათ სიმბოლურია, რომ ფედერერმა პეკინში წააგო. მას ძალიან უნდოდა ოლიმპიური ოქრო, იქნებ „როლან გაროსის“ ჩემპიონობაზე მეტადაც და ამის შესახებ მთელი ოთხი წელი ლაპარაკობდა, მას შემდეგ, რაც ათენურ კორტზე ჩეხ ტომაშ ბერდიხთან დამარცხდა.

პეკინში როჯერმა ათენური წაგების გამო ბერდიხს რევანში კი აუღო, მაგრამ შემდეგ წრეში ბლეიკთან ველარაფერს გახდა, 4:6 6:7 დამარცხდა და სიმბოლურ ამბავს რაც შეეხება, დამდეგ ორშაბათს, როდესაც ATP-ის ახალი რეიტინგი გამოქვეყნდება, ამ რეიტინგის თავში არა როჯერ ფედერერი, არამედ რაფაელ ნადალი იქნება და ალბათ უხერხულიც იქნებოდა, კლასიფიკაციაში დაქვეითებული კაცი ოლიმპიური ჩემპიონი რომ გამხდარიყო.

ვერც გახდა. ოქროს მედალს ვინ ჩივის, ბრინჯაოსაც კი ველარ შეწვდა, მეოთხედფინალში დამარცხდა.

ნადალი კი გრიალ-გრიალით მიიწევს წინ. „როლან გაროსისა“ და უიმბლდონის მიჯრით მოგებას შემდეგ ჯადოესპანელი ოლიმპიურ ოქროზეც ჯიქურ მიიწევს და მას წინაალმდეგობა, ვერც ავსტრიელმა იურგენ მელცერმა გაუწია — 6:0 6:4 რაფას სასარგებლოდ და მის ოლიმპიურ ჩემპიონობას ნოვაკ ჯოკოვიჩიღა თუ აღუდგება წინ. სერბმა, თავის მხრივ, მეოთხედფინალში 4:6 6:1 6:4 მოუგო ფრანგ გაელ მონფილზს და კიდევ ერთი ფრანგი ჰოლ-ანრი მატიო კი ამავე ეტაპზე ჩილელ ფერნანდო გონსალესთან 4:6 4:6 დამარცხდა.

*P.S. როჯერ ფედერერს ოლიმპიური ჩემპიონობის შანსი მაინც აქვს. მისი და სტანისლას ვავრინკას შვეიცარიული წყვილი მეოთხედფინალშია და გუშინ ეს დუეტი პირველ სეტში 4:1-ს უგებდა ინდოელებს, მაეშ ბჰუპატის და ლეანდერ პაესს, მაგრამ შემდეგ წვიმის გამო თამაში შეწყდა.*

*როჯერმა და სტანისლასმა იქნებ ჩამოიკიდონ კიდეც ოლიმპიური ოქრო და ეს ისეთი რამ გახლავთ, წყვილებსა და ერთეულებზე, რომ არ იანგარიშება, მაგრამ წმინდა სპორტული თვალსაზრისით, წყვილებში ჩემპიონობა ჩოგბურთელებისთვის დიდი ვერაფერი ბედენაა და ამით კაცი, ოდენ გულს თუ მოიფხანს.*

## ქვეყნები და მედლები

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 22 | 8 | 5 | 35 | ზიმბაბვე | - | 3 | - | 3 |
| აშშ | 10 | 9 | 15 | 34 | ყაზახეთი | - | 2 | 2 | 4 |
| გერმანია | 7 | 2 | 3 | 12 | შვედეთი | - | 2 | 1 | 3 |
| სამხ. კორეა | 6 | 7 | 3 | 16 | ალჟირი | - | 1 | 1 | 2 |
| იტალია | 6 | 4 | 3 | 13 | ავსტრია | - | 1 | 1 | 2 |
| ავსტრალია | 5 | 4 | 7 | 16 | ყირგიზეთი | - | 1 | 1 | 2 |
| იაპონია | 5 | 3 | 3 | 11 | თურქეთი | - | 1 | 1 | 2 |
| რუსეთი | 3 | 8 | 3 | 14 | კოლუმბია | - | 1 | - | 1 |
| საფრანგეთი | 2 | 7 | 6 | 15 | ნორვეგია | - | 1 | - | 1 |
| ბრიტანეთი | 2 | 2 | 3 | 7 | სლოვენია | - | 1 | - | 1 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | - | 3 | ვიეტნამი | - | 1 | - | 1 |
| **საქართველო** | 2 | - | 1 | 3 | სომხეთი | - | - | 4 | 4 |
| კუბა | 1 | 3 | 2 | 6 | ბრაზილია | - | - | 4 | 4 |
| ჰოლანდია | 1 | 2 | 4 | 7 | ბელარუსი | - | - | 2 | 2 |
| ჩრდ. კორეა | 1 | 2 | 4 | 7 | ტაივანი | - | - | 2 | 2 |
| აზერბაიჯანი | 1 | 2 | 1 | 4 | ინდონეზია | - | - | 2 | 2 |
| რუმინეთი | 1 | 1 | 2 | 4 | არგენტინა | - | - | 1 | 1 |
| მონღოლეთი | 1 | 1 | - | 2 | ბულგარეთი | - | - | 1 | 1 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | - | 2 | ხორვატია | - | - | 1 | 1 |
| უკრაინა | 1 | - | 4 | 5 | დანია | - | - | 1 | 1 |
| შვეიცარია | 1 | - | 3 | 4 | ეგვიპტე | - | - | 1 | 1 |
| ფინეთი | 1 | - | 1 | 2 | ლიტვა | - | - | 1 | 1 |
| ესპანეთი | 1 | - | 1 | 2 | მექსიკა | - | - | 1 | 1 |
| ინდოეთი | 1 | - | - | 1 | ტაჯიკეთი | - | - | 1 | 1 |
| ტაილანდი | 1 | - | - | 1 | ტოგო | - | - | 1 | 1 |
| უნგრეთი | - | 3 | 1 | 4 | უზბეკეთი | - | - | 1 | 1 |


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

**10% - დან 30% - მდე**

აირჩიეთ ორი ნომერი და დაარეგისტრირეთ „საქართველოს ტელეკომში“
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისთვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით „საქართველოს ტელეკომის“ საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია
მხოლოდ **8-10**-ით

**www.telecom.ge**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალან ბერნარი და იმონ სალივანი



# ბერნარ-ნარით

## ჩინეთმა აუზიც აითვისა

**რუსეთი** საერთო ჩათვლაში პირველობისთვის ვეღარ იბრძოლებს. ოლიმპიადის დაწყებიდან ერთ კვირაში ამ ქვეყანას თითებზე ჩამოსათვლელი ოქროები აქვს და ვინძლო სამეულშიც ვეღარ მოხვდეს, რაც ჩვენი ავმეზობლების პროგრამა-მინიმუმი იყო. შერჩნენ ერთმანეთს აშშ და მასპინძელი ჩინეთი, რომელიც ისე წინ გაიქცა, ამერიკელებს თუ მისი დაწევა სურთ, სასწრაფოდ უნდა ამოულონ 5-6 ოქროს დეფიციტი და საქმე მაინცდამაინც მძლეოსნობამდე არ გადადონ.

14 აგვისტოს „წყლის კუბად" წოდებულ პეკინის აკვა-ცენტრში კი ისეთ ამბები დატრიალდა, რაც ამერიკელთა კი არა, ჩინელთა წისქვილზე ასხამს წყალს. იანკების მთავარი ვარსკვლავი მაიკლ ფელპსი გუშინ შემდგარ არც ერთ ფინალში არ მონაწილეობდა და თილისმად ქცეული ოქრობიჭის გარეშე მისიანებმა ოთხ ფინალში მხოლოდ ორი ბრინჯაო შეაკოწიწეს. სამაგიეროდ, ჩინელმა ქალებმა სასაწაულები ჩაიდინეს და „წყლის კუბიდან" ერთი ოქრო (!) და ორ ვერცხლი ამოიღეს.

სანამ ოლიმპიადა დაიწყებოდა, ჩინელ მოცურავეთა საწვრთნელად კარგა ხნის წინ დაქირავებული მავანი ამერიკელი სპეციალისტი ერთობ პესიმისტურ განცხადებებს გამოდიოდა, ჩემი დამქირავებლები მედლების წვიმას მთხოვენ, მე კი ის გუნდი არ მყავს, რაიმეს შეგპირდეთ, ერთი-ორი შემთხვევითი მედლის იმედად თუ ვიქნებითო.

მაგრამ ის, რასაც ჩინელი მოცურავეები აკეთებენ, ნამდვილად არ ჩანს შემთხვევითობად. უშრომიათ, უვარჯიშიათ, ალბათ იდეოლოგიური შეგონებებიც მოუსმენიათ დედაჩინეთის უძლეველობასა და სპორტულ ფრინტზე გამარჯვებაზე და აი, მედლებსაც იხვეჭენ — 200 მეტრ ბატერფლაიში გაუგონარი რამ ჩაიდინეს და ოქრო მოიგეს, თანაც მსოფლიო რეკორდით და ზედ ვერცხლიც მიაყოლეს. სასწაულია, აბა, რა არის!

200 მეტრ ბატერფლაის დედოფლად ავსტრალიელი ჯესიკა შიპერი ითვლებოდა და რეკორდიც მისი იყო. ახლაც დამაჯერებლად ლიდერობდა ასე 130 მეტრი, მაგრამ ჯერ ერთმა ჩინელმა გოგონამ გაასწრო, ზედ ფინიშთან მეორემაც ჩაუდგაფუნა და ცურვაში არცთუ განთქმულ ჩინელთა ასეთი „თავხედობით" გაოგნებულ ფითქინა ავსტრალიელს გაცრეცილი ბრინჯაო და ულაზათო, გაფშეკილი თაიგულიღა შეხვდა. ახალგამომცხვარი ჩემპიონის და რეკორდსმენის სახელია ზიგე ლიუ, ვინაც 200 მეტრი „დელფინის" სტილით 2 წუთსა და 4,18 წამში გაცურა. მას 0,54 წამით ჩამორჩა ლიუან ჟიაო, ჯესიკა შიპერს კი ჩემპიონობამდე ორ წამზე კარგა ბევრით დააგვიანდა.

ამ სახელიანი დღის შემდეგ ჩინელ მოცურავეებს ერთი ოქრო, სამი ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო, სულ კი ხუთი მედალი მოუგროვდათ. რომელ შემთხვევითობაზეა საუბარი?

ავსტრალიელებმა კი შიპერის მარცხის მიუხედავადაც ბლომად მედლები მოიხვეჭეს, თითო ფინალში სხვადასხვა ფერის თითო ჯილდო დაიმსახურეს და ამერიკელ მოცურავეებთან საგრძნობლად შეამცირეს ჩამორჩენა, თუმცა თავადაც აღიარებენ, ბევრად მეტს ველოდითო. ეს ოქროც ოზი ქალების კისერზეა, რომლებიც სუსტ სქესში აშკარად მსოფლიოში საუკეთესოები არიან. 4X200 მეტრზე თავისუფალ ესტაფეტაში მათ ფანტასტიკური გუნდი ჩაუშვეს წყალში და ასე ერთობლივად 800 მეტრი 7 წუთსა და 44,31 წამში გაცურეს, რითაც ძველი მსოფლიო რეკორდი, არც მეტი არც ნაკლები, ექვსი წამით გააუმჯობესეს. ოზთა კვარტეტის წევრ-მარგალიტ სტეფანი რაისისთვის ეს ოქრო ამ ოლიმპიადაზე მესამე იყო და 20 წლის გოგონამ პეკინში ყველაზე წარმატებული მოცურვე ქალის სტატუსი განიმტკიცა.

მის ყოფილ ბოიფრენდს კი ნაკლებად გაუმართლა. იმონ სალივანი მსოფლიოში უსწრაფეს მოცურავედ ითვლება, ის 50 მეტრზე თავისუფალ სტილში მსოფლიო რეკორდს ფლობდა და პეკინში 100 მეტრის რეკორდიც მიამატა, როცა ფრანგ ალენ ბერნარის მიერ პირველ ნახევარფინალურ გაცურვაში დამყარებული რეკორდი მეორე ნახევარფინალში მოხსნა. თავისუფალი 100 მეტრი სამართლიანად ითვლება ყველაზე პრესტიჟულ სახეობად და აქ კონკურენცია პიკს აღწევს. წინა ორ ოლიმპიადაზე აქ ჰოლანდიელმა პიტერ ვან დენ ჰუგენბანდმა იმარჯვა და ეს ასაკშეპარული ვარსკვლავი თავს იმხნევებდა, ჰეთ თრიქი უნდა შევასრულოო, მაგრამ წლეულს ადრეულადვე დაწყებულ ბერნარ-სალივანის დაუსწრებელ პაექრობას რომ უცქერდა, ალბათ საკუთარ თავის და მკლავის დიდი იმედი არც ჰქონდა.

ბერნარმა და სალივანმა ფინალში ერთმანეთს ჯოჯოხეთური ბრძოლა გაუმართეს. რეკორდი არ დამყარებულა, რადგან ფრანგმაც და ავსტრალიელმაც ერთმანეთის ჯინაზე ნახევარფინალში ჩატოვეს მთელი რეზერვი. ამგვარად რეკორდი სალივანს შერჩა, მაგრამ მან დაკარგა უფრო მნიშვნელოვანი, ოლიმპიური ოქრო, როცა ბერნართან მხარდამხარ გამართული პირველი და ნამდვილი შეჯიბრი წააგო. თავისუფალი 100 მეტრის ფინალში ფრანგმა ვეშაპმა სულ ბოლოს გაასწრო ოზ ზვიგენს, მერე კი აუზშივე წინ გადაუდგა და კუნთების მთებიც დაძაგრა იმ ვერაგული განზრახვით, სურათები დამარცხებული მეტოქის ფონზე გადამიღეთ, აქაოდა, ისტორიაში დარჩება, ვინაა ჩვენ ორში საუკეთესოო.

„80 მეტრის შემდეგ ცუდად გავხდი, მივხვდი, რომ ვაგებდი, მაგრამ მწვრთნელის შეგონება გამახსენდა, რომელიც გამუდმებით ჩამჩიჩინებდა, არ დაპანიკდეო და ხელებიც მოვუსვი. ყველამ იცოდეთ, ეს შეჯიბრი მე ბოლო 5 მეტრში მოვიგე" — აი, ასე ნიშნისმოგებით საუბრობდა ბერნარი, რომელმაც კედელს ხელი 47,21 წამში მიარტყა და სალივანს 0,11 წამით მიასწრო.

დღის მეოთხე ფინალში კი იაპონელმა კოსუკე კიტაჯიმამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბოლო ხუთ წელიწადში მსოფლიოში უძლიერესი ბრასისტია. მან ოთხი წლის წინ ათენშიც ორივე დისტანცია — 100 და 200 მეტრი მოიგო და ასევე დუბლი შეასრულა პეკინში. 14 აგვისტოს 200 მეტრზე წამზე მეტი მოუგო ავსტრალიელ ბრენტონ რიკარდს, ვინაც მასზე ერთ თავით მაღალია, თუმც იაპონელის შემართება და ოსტატობა არც მას აქვს და მსოფლიოში არც სხვა სხვა რომელიმე ბრასისტს.

**ირაკლი ფირაშვილი**

კოსუკე კიტაჯიმა





ლინას კლეიზას ლიტვამ ანდრეი კირილენკოს რუსეთი წააქცია

# რუსეთი ლიტვამაც დასაჯა

## ვუქომაგოთ ხვალ ავსტრალიას

**ევროპის** ჩემპიონი რუსეთი ამ ოლიმპიადაზე უკვე მეორედ დამარცხდა და ისევ ყოფილ „თავისიანთან", რომელიც, ყველაფერს რომ თავისი სახელი დავარქვათ, ათწლეულების განმავლობაში ჩვენთან ერთად ჰყავდა დაპყრობილი. რუსებმა ჯერ ხორვატიასთან ჭამეს მარცხი, ახლა კი ლიტვასთანაც 79:86 შერცხვნენ და ნუგეშად ოლიმპიადების უსუსური დებიუტანტი ირანის ძლევაღა აქვთ. არგენტინასთანაც წაგება აქვთ გარანტირებული და თუ 16 აგვისტოს ავსტრალიასაც ვერაფერი მოუხერხეს, ჯგუფში ჩარჩებიან და ეგ იქნება, მეოთხედფინალში მათ მაგივრად ავსტრალა გავა, რომელსაც ნამდვილად რიგიანი გუნდი ჰყავს და რუსეთის არყოფნას სპორტულ დალად ნამდვილად არ დაასვამს ოლიმპიადას.

ლიტვა — რუსეთის ბრძოლა კი რაღა გასაკვირია, რომ დაძაბული გამოვიდა. შიშკაუსკასი, იასიკევიჩუსი და მათი თანამეინახეები გაცილებით იოლად დაჩოქებდნენ მოსისხლე მეტოქეს, რუსების ნატურალიზირებულ ამერიკელ ჯეი არ ჰოლდენს რომ არ გამოედო თავი და 25 ქულა არ გაეკეთებინა. კარგი იქნებოდა ამ მატჩის ოქმში ჩაეხედათ იმ რუსებს, რომლებიც ჩვენებური ბრაზილიელი პლაჟბურთელების საქას და რთველოს სადაურობას არჩევდნენ.

ამასობაში A ჯგუფში რუსთა შემდეგმა მეტოქე ავსტრალიამ 106:68 გაანადგურა ირანი, რომელიც ექვსგუნდიან კრებულში გამოკვეთილი მეექვსეა და ჯერჯერობით სამივე თამაში წააგო, საშუალოდ 30 ქულაზე მეტით.

ჯგუფის მესამე შეხვედრაში მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა არგენტინამ 77:53 აჯობა ხორვატიას, რომელიც ასეთი მარცხის მიუხედავადაც რიგიან შთაბეჭდილებას ტოვებს.

B ჯგუფი უფრო ხმაურიანია, რაკი იქ მუდმივი ფავორიტი, მაგრამ ბოლო წლებში მუდმივადაც ძლეული ამერიკა და მასპინძელი ჩინეთი ირჯებიან. 14 აგვისტო ჩინელებისთვის ლამის ისტორიაში ჩასაწერი დღე გამოდგა. იაო მინმა და ძმანმა მისნმა აფრიკის საუკეთესო გუნდი ანგოლა 85:68 შემუსრეს და კალათბურთის 12-გუნდა ტურნირის მეოთხედფინალის შანსი გამოიკვეთეს. აწი მათ ორ თამაშში ერთი გამარჯვებაც გაუხსნის გეზს მეოთხედფინალური ნათელი მომავლისკენ. რაც შეეხება იაო მინს, ჩინური კალათბურთის ზეიმი მის გარეშე ხომ არ ჩაივლიდა და მათი კედელივით გრძელმა ჩინელმა ანგოლელებს 30 ქულა ამგერა, მერე კი თანაგუნდელებს მადლობა უძღვნა, თქვენ დამეხმარეთ, თორემ მარტო რას გავხდებოდიო.

ამერიკელებმა კი ორი წლის წინანდელი გაუხსენეს ბერძნებს და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში მარცხის სამაგიერო ახლა უზღეს — 92:69. ბრაიანტი ისევ გამორჩეული იყო 18 ქულით, ამდენივე ჩააგდო კრის ბოშმა, დუეინ ვეიდი კი გუნდს 17 ქულით შეეშველა.

2006 წელს ამერიკელთა მძლეველ ბერძნების ფინალში დამმარცხებულმა ესპანეთმა კი მორიგი მარცხი შეამთხვია გერმანიას, რომელსაც მეთოდები დაუშველდა, დირკ ნოვიცკიც ვეღარ შველის. ახლა დირკმა ოდენ 11 ქულა შეაგროვა და საერთოდ, მისი თამაში ისეა გაშიფრული, როგორც სხვა არავისი, ასე რომ, გერმანიას ამ ოლიმპიადაზე მედალი ნამდვილად არ უღიმის.

**ირაკლი ფირაშვილი**

# კვარცხლბეკი

## ცურვა

### ქალები. 200მ ბატერფლაი

1. ლიუ ზიგე (ჩინეთი) 2.04,18 (მსოფ. რეკორდი)
2. ლიუიან იაო (ჩინეთი) 2.04,72
3. ჯესიკა შიპერი (ავსტრალია) 2.06,26

### ქალები. 4X200მ თავისუფალი

1. ავსტრალია (სტეფანი რაისი, ბრონტე ბარატი, კილი პალმერი, ლინდა მაკენზი) 7.44,31 (მსოფ. რეკორდი)
2. ჩინეთი (იუ იანი, ქიანვეი ჟუ, მაო ტანი, იაინ პანგი) 7.45,93
3. აშშ (ელისონ შმიტი, ნატალი კულინი, კაროლინ ბურკი, კეტი ჰოფი) 7.46,33

### კაცები. 100მ თავისუფალი

1. ალენ ბერნარი (საფრანგეთი) 47,21
2. იმონ სალივანი (ავსტრალია) 47,32
3. ჯეისონ ლეზაკი (აშშ) 47,67
3. სეზარ კარლო ფილიო (ბრაზილია) 47,67

### კაცები. 200მ. ბრასი

1. კოსუკე კიტაჯიმა (იაპონია) 2.07,64 (ოლიმპ. რეკორდი)
2. ბრენტონ რიკარდი (ავსტრალია) 2.08,88
3. ჰუგო დუბოსკი (საფრანგეთი) 2.08,94

## სპორტული ტანვარჯიში

### კაცები. პირადი. მრავალჭიდი

1. ვეი იანი (ჩინეთი) 94,575
2. კოჰეი უჩიმურა (იაპონია) 91,975
3. ბენუა კარანობე (საფრანგეთი) 91,925

## სროლა

### ქალები. სკიტი (მრგვალი სტენდი)

1. ჩიარა კაინერო (იტალია) 93 (ოლიმპ. რეკორდი; 72+1)
2. კიმბერლი როუდი (აშშ) 93 (70+23)
3. კრისტინ ბრინკერი (გერმანია) 93 (70+23)

### ქალები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. სამი პოზიციის ჯამი. 50მ

1. ლი დუ (ჩინეთი) 690,3 (ოლიმპ. რეკორდი)
2. კატერინა ემონსი (ჩეხეთი) 687,7
3. იგლის კრუზი (კუბა) 687,6

## მშვილდოსნობა

### ქალები. პირადი

1. იანიუან ჟენგი (ჩინეთი)
2. სუნ ჰუ პარკი (სამხრეთ კორეა)
3. ოკჰი იუნი (სამხრეთ კორეა)

## ძიუდო

### ქალები. 78 კგ

1. ქსიული იანგი (ჩინეთი)
2. იალერის კასტილიო (კუბა)
3. სტეფანი როზმაი (საფრანგეთი)
3. გიონგმი იონგი (სამხრეთ კორეა)

### კაცები. 100 კგ

1. ტუვშინბაიარ ნაიდანი (მონღოლეთი)
2. ასხატ ზიტკეევი (ყაზახეთი)
3. ჰენრიკ გროლი (ჰოლანდია)
4. მოვლუდ მირალიევი (აზერბაიჯანი)

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

### 84 კგ

1. ანდრეა მინგუზი (იტალია)
2. ზოლტან ფოდორი (უნგრეთი)
3. ნაზმი ავლუკა (თურქეთი)
3. არა აბრაჰამიანი (შვედეთი)

### 96 კგ

1. ასლანბეკ ხუსტოვი (რუსეთი)
2. მირკო ინგლიში (გერმანია)
3. ადამ ვილერი (აშშ)
3. ასიტ მანბეტოვი (ყაზახეთი)

### 120 კგ

1. მიხაინ ლოპესი (კუბა)
2. ხასან ბაროევი (რუსეთი)
3. იური პატრიკეევი (სომხეთი)
3. მინდაუგას მიზგაიტისი (ლიტვა)

## ფარიკაობა

### ქალები. ხმალი. გუნდური

1. უკრაინა (ალიონა ხომროვა, ოლია ზვორნირი, ოლგა ჰარლანი, გალინა პუნდიკი)
2. ჩინეთი (იანინ ბაო, ჰაიან ჰუანგი, ქსუე ტანი, ჰონ ნი)
3. აშშ (ბესა უარდი, მერილ ზაგუნისი, სადა იაკობსონი)

*გუშინ მედლები სანიჩბოსნო სლალომსა და ცხენოსნობაშიც უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ კოკისპირული წვიმის გამო ამ სახეობებში შეჯიბრებები არ გამართულა და მომდევნო დღეებისთვის გადაიდო*

## კალათბურთი

### კაცები. ჯგუფური ეტაპის III ტური

**A ჯგუფი**

ავსტრალია — ირანი 106:68; ლიტვა — რუსეთი 86:79; არგენტინა — ხორვატია 77:53

*ლიტვა 3 მოგება; ხორვატია, არგენტინა 2-2; რუსეთი, ავსტრალია 1-1; ირანი 0*

**B ჯგუფი**

ესპანეთი — გერმანია 72:59; ჩინეთი — ანგოლა 85:68; აშშ — საბერძნეთი 92:69

*აშშ, ესპანეთი 3-3 მოგება; საბერძნეთი, გერმანია, ჩინეთი 1-1; ანგოლა 0*

## ხელბურთი

### კაცები. ჯგუფური ეტაპის III ტური

**A ჯგუფი**

პოლონეთი — ბრაზილია 28:25; ესპანეთი — ჩინეთი 36:32; საფრანგეთი — ხორვატია 23:19

*საფრანგეთი 6 ქულა; ხორვატია, პოლონეთი, ესპანეთი 4-4; ჩინეთი, ბრაზილია 0-0*

**B ჯგუფი**

გერმანია — ეგვიპტე 25:23; სამხრეთ კორეა — ისლანდია 22:21; დანია — რუსეთი 25:24

*ისლანდია, სამხრეთ კორეა, გერმანია 4-4 ქულა; დანია 3; რუსეთი 2; ეგვიპტე 1-1*

## ფრენბურთი

### კაცები. ჯგუფური ეტაპის III ტური

**A ჯგუფი**

იტალია — ვენესუელა 3:0 (25:21, 25:20, 25:21); ჩინეთი — იაპონია 3:2 (25:20, 25:20 17:25, 16:25, 15:10); აშშ — ბულგარეთი 3:1 (27:29, 25:21, 25:14, 26:24)

*აშშ 3 მოგება; ბულგარეთი, იტალია, ჩინეთი 2-2; იაპონია, ვენესუელა 0-0*

**B ჯგუფი**

გერმანია — ეგვიპტე 3:0 (29:27, 25:21, 25:21); რუსეთი — ბრაზილია 3:1 (22:25, 26:24, 31:29, 25:19); პოლონეთი — სერბეთი 3:1 (31:29, 22:25, 25:22, 25:21)

*პოლონეთი, რუსეთი 3-3 მოგება; ბრაზილია 2; გერმანია 1; სერბეთი, ვენესუელა 0-0*

## წყალბურთი

### კაცები. ჯგუფური ეტაპის III ტური

**A ჯგუფი**

უნგრეთი — ესპანეთი 8:5; ჩერნოგორია — საბერძნეთი 10:6; ავსტრალია — კანადა 8:5

*უნგრეთი, ჩერნოგორია 5-5 ქულა; ესპანეთი, ავსტრალია 4-4; კანადა, საბერძნეთი 0-0*

**B ჯგუფი**

ხორვატია — გერმანია 13:5; სერბეთი — აშშ 4:2; იტალია — ჩინეთი 19:7

*ხორვატია 6 ქულა. სერბეთი, აშშ 4-4; გერმანია, იტალია 2-2; ჩინეთი 0*

## ბალახის ჰოკეი

### ქალები. ჯგუფური ეტაპის III ტური

**A ჯგუფი**

ჰოლანდია — ჩინეთი 1:5; ავსტრალია — სამხრეთ აფრიკა 3:0; ესპანეთი — სამხრეთ კორეა 2:1

*ჰოლანდია 6 ქულა; ჩინეთი, ავსტრალია 4-4; სამხრეთ კორეა, ესპანეთი 2-2; სამხრეთ აფრიკა 0-0*

**B ჯგუფი**

გერმანია — აშშ 4:2; არგენტინა — იაპონია 2:1; დიდი ბრიტანეთი — ახალი ზელანდია 2:1

*გერმანია 6 ქულა; არგენტინა 4; იაპონია დიდი ბრიტანეთი 3-3; აშშ 2; ახალი ზელანდია 0*

## ბეისბოლი

### ჯგუფური ეტაპის II ტური

აშშ — ჰოლანდია 7:0; კუბა — კანადა 7:6; იაპონია — ტაივანი 6:1

*კუბა, 2 მოგება; სამხრეთ კორეა, აშშ, იაპონია, კანადა, ტაივანი 1-1; ჩინეთი, ჰოლანდია 0-0*

## სოფტბოლი

### ჯგუფური ეტაპის III ტური

ავსტრალია — ჩინეთი 3:1; იაპონია — ჰოლანდია 3:0; ტაივანი — ვენესუელა 3:0

*იაპონია 3 მოგება; აშშ, კანადა, ჩინეთი 2-2; ავსტრალია, ტაივანი 1-1; ჰოლანდია, ვენესუელა 0-0*

# თამაშების განრიგი

## 15 აგვისტო, პარასკევი

**მშვილდოსნობა**

კაცები, პირადი — 1/4 ფინალი, 1/2 ფინალი, ფინალი

**მძლეოსნობა**

ქალები — 10000 მ — ფინალი
ქალები — შვიდჭიდი — 100 მ თარჯრბენი, სიგრძეზე ხტომა, ბირთვის კვრა, 200მ
ქალები — 800მ — კვალიფიკაცია
ქალები — 3000მ სტიპლჩეიზი — კვალიფიკაცია
ქალები — სამხტომი — კვალიფიკაცია
კაცები — ბირთვის კვრა — კვალიფიკაცია, ფინალი
კაცები — 100მ — კვალიფიკაცია
კაცები — უროს ტყორცნა — კვალიფიკაცია
კაცები — 1500მ — კვალიფიკაცია
კაცები — 400მ თარჯრბენი — კვალიფიკაცია

**ბადმინტონი**

ქალები, პირადი — ნახევარფინალი
ქალები, წყვილები — ფინალი
კაცები, პირადი — ნახევარფინალი
კაცები, წყვილები — ნახევარფინალი

**ბეისბოლი**

ჯგუფური ეტაპის III ტური

**კალათბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის IV ტური

**პლაჟის ფრენბურთი**

ქალები — მერვედფინალი
კაცები — მერვედფინალი

**ფრენბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის IV ტური

**კრივი**

54 კგ — მერვედფინალი
57 კგ — მერვედფინალი
60 კგ — მერვედფინალი

**ველორბოლა, ტრეკი**

ქალები — ინდივიდუალური გამოდევნება — კვალიფიკაცია
კაცები — გუნდური სპრინტი — კვალიფიკაცია, ფინალი

**წყალში ხტომა**

ქალები, პირადი — 3-მეტრიანი ტრამპლინი — კვალიფიკაცია

**ცხენოსნობა**

კონკური — პირადი — კვალიფიკაცია

**ფარიკაობა**

კაცები — დაშნა, გუნდური — ფინალი

**ფეხბურთი**

ქალები — მეოთხედფინალი

**სპორტული ტანვარჯიში**

ქალები, პირადი — მრავალჭიდი — ფინალი

**ხელბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის IV ტური

**ბალახის ჰოკეი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის III ტური

**ძიუდო**

ქალები — +78კგ — ფინალი
კაცები — +100კგ — ფინალი

**აფროსნობა**

ქალები — 470 — მე-6, მე-7 და მე-8 გაცურვა
ქალები — ინგლინგი — მე-10 გაცურვა
ქალები — ლაზერი — მე-6 გაცურვა
კაცები — ლაზერი — მე-6 გაცურვა
კაცები — 470 — მე-7 გაცურვა
კაცები — ვარსკვლავი — პირველი და მეორე გაცურვა
მიქსტი — ფინი — მე-10 გაცურვა
მიქსტი — ტორნადო — პირველი და მეორე გაცურვა
მიქსტი — 49 — მე-13, მე-14 და მე-15 გაცურვა

**სროლა**

კაცები — მცირეკალიბრიანი შაშხანა. სამი პოზიციის ჯამი. 50მ — ფინალი
კაცები — სკიტი (მრგვალი სტენდი) — კვალიფიკაცია
კაცები — სპორტული პისტოლეტი. 25მ — კვალიფიკაცია

**სოფტბოლი**

ჯგუფური ეტაპის IV ტური

**ცურვა**

ქალები — 200მ ბრასი — ფინალი
ქალები — 100მ თავისუფალი — ფინალი
ქალები — 200მ გულაღმა — ნახევარფინალი
ქალები — 50მ თავისუფალი — კვალიფიკაცია
ქალები — 4X100მ თავისუფალი — კვალიფიკაცია
კაცები — 200მ გულაღმა — ფინალი
კაცები — 200მ კომბინირებული — ფინალი
კაცები — 50მ თავისუფალი — ნახევარფინალი
| 16233 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 1.50 | 2.30 |
| 16235 | ტომსკი-რუბინი | 2.30 | 1.48 |
| 16238 | ენერგია-კრილია | 1.80 | 1.85 |
| 16144 | შალკე-ჰანოვერი | 1.22 | 3.40 |
| 16145 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1.17 | 4.10 |
| 16146 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.45 | 2.45 |
| 16148 | კარლსრუე-ბოხუმი | 1.52 | 2.20 |
| 16149 | კოტბუსი -ჰოფენჰაიმი | 1.82 | 1.82 |
| 16150 | არმინია-ვერდერი | 2.45 | 1.40 |
| 16216 | ვარეგემი-ლოკერენი | 1.45 | 2.45 |
| 16217 | სერკლი-ანდერლეხტი | 1.70 | 1.95 |
| 16218 | დენდერი-სტანდარდი | 3.30 | 1.25 |
| 16219 | რუზელარე-კორტრაიკი | 1.52 | 2.20 |
| 16220 | ტუბეკე-მუსკრონი | 2.05 | 1.65 |
| 16236 | დინამო-ნალჩიკი | 1.12 | 4.60 |
| 16237 | ლოკომოტივი-სატურნი | 1.12 | 4.60 |
| 16147 | აინტრახტი-ჰერტა | 1.65 | 2.05 |
| 16151 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.80 | 1.85 |
| 16155 | ნიურნბერგი-აუგსბურგი | 1.14 | 4.70 |
| 16156 | ფრაიბურგი-მიუნხენი 1860 | 1.38 | 2.65 |
| 16157 | ალენი-ფრანკფურტი | 1.55 | 2.20 |
| 16158 | ინგოლშტადი-ფიურტი | 1.62 | 2.05 |
| 16159 | კობლენცი-ობერჰაუზენი | 1.40 | 2.55 |
| 16222 | გენტი-მონსი | 1.12 | 4.60 |
| 16223 | გენკი-ბეერსხოტი | 1.25 | 3.40 |
| 16239 | ამკარი-სპარტაკი | 1.85 | 1.80 |
| 16240 | ცსკა-ტერეკი | 1.08 | 5.00 |
| 16242 | ხიმკი-მოსკოვი | 1.75 | 1.85 |
| 16160 | დუისბურგი-პანზა | 1.40 | 2.55 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14143 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14152 | ალემანია-ვეენი | 1.45 | 2.40 |
| 14153 | ზტ.პაული-ოსნაბრიუკი | 1.65 | 2.30 |
| 14154 | მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 1.65 | 2.30 |
| 14195 | აიაჩო-დიჟონი | 1.65 | 2.30 |
| 14196 | ამიენი-მეცი | 1.90 | 1.90 |
| 14197 | ანჟე-სედანი | 1.80 | 2.00 |
| 14198 | კლერმანი-ნიმი | 1.45 | 2.40 |
| 14199 | გენგამი-რეიმსი | 1.70 | 2.20 |
| 14200 | ლენსი-შატორუ | 1.30 | 2.50 |
| 14201 | მონპელიე-ბულონი | 1.45 | 2.40 |
| 14202 | სტრასბური-ბასტია | 1.65 | 2.30 |
| 14203 | ტუარი-ვანესი | 1.80 | 2.00 |
| 14204 | ტრუა-ბრესტი | 1.70 | 2.20 |
| 14215 | მეხელენი-ბრიუგე | 2.20 | 1.70 |
| 14224 | მაასტრიხტი-ექსელსიორი | 1.80 | 2.00 |
| 14225 | ემენი-ჰელმონდი | 1.65 | 2.30 |
| 14226 | აპელდორნი-დორდრეხტი | 1.80 | 2.00 |
| 14227 | კამბური-ვენლო | 2.00 | 1.80 |
| 14228 | როზენდალი-ზვოლე | 1.80 | 2.00 |
| 14229 | ოსი-ომნივორლდი | 1.70 | 2.20 |
| 14230 | იგლზი-სიტარდი | 1.30 | 2.50 |
| 14231 | ვალვაიკი-ვეენდამი | 1.20 | 2.60 |
| 14232 | ტელსტარი-დენ ბოსხი | 2.00 | 1.80 |
| 14233 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 1.75 | 2.10 |
| 14235 | ტომსკი-რუბინი | 2.10 | 1.75 |
| 14238 | ენერგია-კრილია | 1.90 | 1.90 |
| 14144 | შალკე-ჰანოვერი | 1.30 | 2.50 |
| 14145 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1.30 | 2.50 |
| 14146 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.75 | 2.10 |
| 14148 | კარლსრუე-ბოხუმი | 1.75 | 2.10 |
| 14149 | კოტბუსი -ჰოფენჰაიმი | 1.90 | 1.90 |
| 14150 | არმინია-ვერდერი | 2.20 | 1.70 |
| 14216 | ვარეგემი-ლოკერენი | 1.75 | 2.10 |
| 14217 | სერკლი-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 14218 | დენდერი-სტანდარდი | 2.40 | 1.45 |
| 14219 | რუზელარე-კორტრაიკი | 1.75 | 2.10 |
| 14220 | ტუბეკე-მუსკრონი | 2.00 | 1.80 |
| 14236 | დინამო-ნალჩიკი | 1.20 | 2.60 |
| 14237 | ლოკომოტივი-სატურნი | 1.20 | 2.60 |
| 14147 | აინტრახტი-ჰერტა | 1.80 | 2.00 |
| 14151 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.90 | 1.90 |
| 14155 | ნიურნბერგი-აუგსბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14156 | ფრაიბურგი-მიუნხენი 1860 | 1.70 | 2.20 |
| 14157 | ალენი-ფრანკფურტი | 1.80 | 2.00 |
| 14158 | ინგოლშტადი-ფიურტი | 1.80 | 2.00 |
| 14159 | კობლენცი-ობერჰაუზენი | 1.70 | 2.20 |
| 14222 | გენტი-მონსი | 1.30 | 2.50 |
| 14223 | გენკი-ბეერსხოტი | 1.45 | 2.40 |
| 14239 | ამკარი-სპარტაკი | 1.95 | 1.85 |
| 14240 | ცსკა-ტერეკი | 1.08 | 2.90 |
| 14242 | ხიმკი-მოსკოვი | 1.85 | 1.95 |
| 14160 | დუისბურგი-პანზა | 1.70 | 2.20 |

## დე როსის სიმამრი მოკლეს

**იტალიის** ნაკრებისა და „რომას" ნახევარმცველის დანიელე დე როსის ოჯახში ტრაგედიაა. მისი სიმამრი, 48 წლის მასიმილიანო პისნოლი რომთან ახლოს კამპოლეონეს სადგურზე მკვდარი იპოვნეს.

მას სნაიპერული თოფიდან ორი ტყვია აქვს ნასროლი, ერთი თავში და მეორე ზურგში. პოლიციის განცხადებით, მკვლელობა დაახლოებით ერთი კვირის წინ მოხდა, ასეთი ვარაუდი აქვთ ექსპერტებსაც.

როგორც ირკვევა, მასიმილიანო პისნოლი უკვე რამდენჯერმე გადაურჩა სიკვდილს, მასზე აქამდეც ყოფილა თავდასხმები. ამჯერად კი ველარ გადარჩა.

შეგახსენებთ, რომ დე როსი ტამარა პისნოლიზე 2006 წლის 18 მაისს დაქორწინდა და მათ ქალიშვილიც ჰყავთ, სახელად გაია.

## პარკი ვარჯიშს დაიწყებს

**„მანჩესტერ იუნაიტედის"** ნახევარმცველი ჯი სუნ პარკი იმედოვნებს, რომ მომავალ კვირას ვარჯიშს შეუდგება. კორეელ ფეხბურთელს მუხლის ტრავმა აწუხებდა, რის გამოც ექვსი თვეა, არ უთამაშია.

„კიდევ ერთი კვირა მჭირდება და მალე მწყობრში ჩავდგები. ძალიან მინდა, სრულფასოვანი სეზონი ჩავატარო, მე ხომ მთელი ექვსი თვე გამიცდა" — აღნიშნა პარკმა.

## რონალდინიომ კამერუნი შეაქო

**ბრაზილიის** ოლიმპიური ნაკრების წევრმა რონალდინიომ კამერუნთან მომავალ შეხვედრაზე თავისი აზრი გამოთქვა:

„შემდგომ შეხვედრას კამერუნთან გავმართავთ. მიუხედავად იმისა, რომ პლეი ოფში პირველი ადგილიდან გავედით, სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს. კამერუნი ძალიან ძლიერი გუნდია. მეტოქეს პატივს ვცემთ, უბრალოდ, ჩვენი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ".

## ბარტონის კიდევ ერთი დანაშაული

**ინგლისური** „ნიუკასლის" ნახევარმცველმა ჯოი ბარტონმა აღიარა, რომ 2007 წლის მაისში თავის ყოფილ თანაგუნდელ უსმან დაბოს თავს დაესხა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ჯერჯერობით ვერ გადაწყვიტა, როგორი სასჯელი გამოუტანოს ჩხუბისთვის.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ ლივერპულის ცენტრში ბარტონს ადამიანზე თავდასხმის გამო ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმც ფეხბურთელი 78 დღის შემდეგ გაათავისუფლეს.

## სვენ-გორან ერიკსონს ბლანკო გაახსენდა

**მექსიკის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიკსონმა, ჰონდურასთან მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის კუატემოკ ბლანკო გამოიძახა. 35 წლის ფორვარდი ამჟამად ამერიკული მეიჯორ ლიგის „ჩიკაგოში" გამოდის და ნაკრებში უკანასკნელად 2007 წლის კოპა ამერიკაზე ითამაშა.

„ვფიქრობ, ბლანკოს კიდევ შეუძლია ნაკრებისთვის სარგებლის მოტანა. ის ახალგაზრდა აღარ არის, თუმც თავის კლუბში შესანიშნავად გამოიყურება და ჩვენს გუნდს უთუოდ გააძლიერებს" — თქვა შვედმა სპეციალისტმა".

კუატემოკს ეროვნულ გუნდში 97 მატჩში 34 გოლი აქვს გატანილი.

## ტონი გამოირიცხა

**მიუნხენის** „ბაიერნის" თავდამსხმელი ლუკა ტონი, როგორც ჩანს, „ჰამბურგთან" ბუნდესლიგის სასტარტო ტურის მატჩს მაინც გამოტოვებს. იტალიელმა ფეხის ტრავმა ახლახან მოირჩინა და ვარჯიშს შეუდგა. ბავარიელთა დამრიგებელი იურგენ კლინსმანი მას საშუალებას აძლევს, ბოლომდე გამოჯანმრთელდეს.

## ბულგარელის გამო გადადებული ფოტოსესია

**ინგლისური** Mirror-ის ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედმა" კლუბის ფოტოსესია პარასკევისთვის გადაიტანა. ამის მიზეზად კი დიმიტარ ბერბატოვის გადმოსვლა სახელდება, რომელიც, შესაძლოა, უახლოეს საათებში გახდეს მანკუნიანელი. ალექს ფერგიუსონს სურს, რომ „წითელი ეშმაკუნების" საერთო ფოტოში ბულგარელი ფეხბურთელიც მოხვდეს.

## დავიდ სილვას ახალი კონტრაქტი

**დავიდ სილვამ** „ვალენსიასთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა და „ბარსელონას" პრეტენზიებს ბოლო მოუღო. სამაგიეროდ, „ბარსა" სხვა ფეხბურთელებით აპირებს შემადგენლობის გაძლიერებას. კატალონიელთა ტექნიკური დირექტორის ჩიკი ბეგირისტაინის თქმით, სილვასთან მოლაპარაკებას აღარასოდროს დააპირებენ, ახლა კი სხვა ფეხბურთელების ძიებით არიან დაკავებულნი.

**არჩილ ძოწახიძე**

# ჩელსიმ გააფრენკა



პიტერ კინიონი და ფრენკ ლამპარდი

**პრემიერლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელების ათეული (ყოველკვირეული გასამრჯელო):**

| | | |
|---|---|---|
| ფრენკ ლამპარდი | ჩელსი | 151 000 |
| ჯონ ტერი | ჩელსი | 131 000 |
| ანდრეი შევჩენკო | ჩელსი | 121 000 |
| მიხაელ ბალაკი | ჩელსი | 121 000 |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული | 120 000 |
| კრიშტიანუ რონალდუ | მანჩესტერი | 119 000 |
| უეინ რუნი | მანჩესტერი | 110 000 |
| მაიკლ ოუენი | ნიუკასლი | 110 000 |
| რიო ფერდინანდი | მანჩესტერი | 100 000 |
| დიდიე დროგბა | ჩელსი | 91 000 |

**„ჩელსიმ"** ფრენკ ლამპარდი პრემიერლიგის ყველაზე შემოსავლიან ფეხბურთელად აქცია — ლონდონელმა „ლურჯებმა" საკუთარ ნახევარმცველს 39,2 მილიონ გირვანქად ღირებული კონტრაქტი გაუფორმეს. სხვა სიტყვებით, ინგლისურ საკლუბო ფეხბურთში ახალი თავი გადაიფურცლა — იქ უკვე არის მოთამაშე, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში კვირაში 151 ათას გირვანქას მიიღებს.

ახალი კონტრაქტის თაობაზე 30 წლის ლამპარდმა განაცხადა: „ამ გარიგებით მეც მოვიგებ და კლუბიც. ძალიან მინდა, ახალ სეზონში პრემიერლიგის ჩემპიონობაც მოვიგო და ჩემპიონთა ლიგაშიც გავიმარჯვო. მას მერე, რაც გასულ სეზონში დამარცხების სიმწარე ვიგემეთ, ღრმად ვარ დარწმუნებული, გამარჯვებების გზას შევუდგებით. „ჩელსიში" ხომ დიდებულ მოთამაშეთა ჯგუფი შეიკრიბა და მას საუცხოო მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში. ახლა ჩვენი გუნდის ცხოვრებაში დიდებული პერიოდი დგას და ბედნიერი ვარ, მის ნაწილად რომ ვრჩები".

პრესკონფერენციას კლუბის ხელმძღვანელთა მხრიდან აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კინიონიც ესწრებოდა. მან თქვა:

„არ გაგიკვირდეთ, ფრენკ ლამპარდთან კონტრაქტის გაფორმება ამ სატრანსფერო სეზონში ჩვენი ყველაზე დიდი მიღწევა რომ გამოვიდეს. ამ ხელშეკრულებით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საუკეთესო ფეხბურთელებს არსად ვუშვებთ. ლამპარდი ფიზიკურად ძლიერია და გუნდისთვის თავდადებული".

**პაპუნა ძიდია**

# ანჩელოტი: მაურინიუ უნიკალურია

**იტალიური** „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ გუნდის ამჟამინდელ მდგომარეობაზე, კონკურენტებზე და „ინტერის" მთავარ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუზე ილაპარაკა. მისი აზრით, პორტუგალიელ სპეციალისტთან განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო და მისი ყველა ნათქვამი არავინ არ უნდა აღიქვას სერიოზულად.



„მაურინიუ უნიკალური პიროვნებაა. მას ვიცნობ და ვთვლი, რომ ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ მას პრესის ყურადღების მიქცევა უყვარს. ხშირად პროვოკაციულიცაა. მე ვისიამოვნე მასთან კომენტარების გაცვლით. თუმცა ყველაფერს ყურადღება არ უნდა მიაქციო და ზედმეტად სერიოზულად არ უნდა მიიღო" — თქვა ანჩელოტიმ.

„მილანს" მოსამზადებელ პერიოდში ძალიან უჭირს. კლუბს ბევრი ფეხბურთელი აკლია ტრავმების გამო. ალეშანდრე პატო და რონალდინიო კი ოლიმპიადაზე არიან. დარიო შიმიჩი და კაკას ძმა, როდრიგუ დიგაუ ძირითადი შემადგენლობის წევრები არ იყვნენ, მაგრამ ფაქტია — პირველის „მონაკოში" გაყიდვით, ხოლო მეორეს „სტანდარდში" განათხოვრებით „როსონერის" ისედაც დასუსტებულ უკანა ხაზს ორი კაცი მოაკლდა.

„არ ველოდი, თუ ამ პერიოდში ამდენი სირთულე შეგვხვდებოდა. არც დაცვაა მწყობრში და არც თავდასხმა. ერთადერთი რგოლი, რომელიც კარგად მუშაობს, ნახევარდაცვაა. ცხადია, დანაკლისებმა დაღი დაგვასვა და იმედია, ვითარება მალე გამოსწორდება. ალესანდრო ნესტა მალე მწყობრში იქნება, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით, როდის დაბრუნდება შემადგენლობაში. ბევრი ფეხბურთელი „ინტერმაც" დაკარგა, მაგრამ დაცვაში მაინც სოლიდურად გამოიყურება და ამ კლუბის რეალური ძალა ჯერ კიდევ არ გვინახავს. „ნერაძური" სკუდეტოსთვის ბრძოლაში ფავორიტია. როგორც მოსალოდნელი იყო, „იუვენტუსმა" კარგი სატრანსფერო პოლიტიკა გაატარა და ტურინელებს დაბალანსებული, ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავთ" — დასძინა ანჩელოტიმ.

**ჭოჭი ჭანდელაძე**

# ადრიანო დაშავდა



**ძლივს** კალაპოტში დაბრუნებულმა ადრიანომ ტრავმა მიიღო, რომელიც, შესაძლოა, სერიოზული გამოდგეს. „ინტერის" ექიმებმა ბრაზილიელს პირველი გამოკვლევები უკვე ჩაუტარეს, მაგრამ კონკრეტულს ჯერ ვერაფერს ამბობენ.

„იმპერატორს", შესაძლოა, ერთი თვე მოუხდეს უქმობა. ძნელად სავარაუდოა, მან 24 აგვისტოს „რომასთან" სუპერთასზე ითამაშოს. ხოლო ის, რომ „ნერაძურის" დღეს, „ბენფიკასთან" ამხანაგურ შეხვედრაში ვერ დაეხმარება, დანამდვილებით ცნობილია. ლისაბონელებთან ჟოზე მაურინიუს არც კრისტიან კივუ, ივან კორდობა, ხულიო რიკარდო კრუსი, ვალტერ სამუელი, მარკო მატერაცი და პატრიკ ვიეირა ეყოლება. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდნენ ჟულიო სეზარი და სულეი ალი მუნტარი.

„ადრიანოს ბარძაყის კუნთის ტრავმა აქვს. იგი უკვე გადის ფიზიოთერაპიის კურსს და მორიგ გამოკვლევებს მომავალ კვირაში ჩაიტარებს" — ნათქვამია „ინტერის" განცხადებაში.

**ჭოჭი ჭანდელაძე**

# კლინსმანი დაინწნეხა




**ვინ გახდება** გერმანიის ჩემპიონი? ასეთი გამოკითხვა ჩაატარეს ბუნდესლიგაში და 18 მწვრთნელთაგან თექვსმეტმა პირველობა მიუნხენის „ბაიერნს" უწინასწარმეტყველა.

თომას შააფმა („ვერდერი") ბრძანა, რომ „ბაიერნი" კი არა, მისი გუნდი მოიგებს ბუნდესლიგას, რადგან უკეთესი შემადგენლობა ჰყავს და უფრო შეთამაშებულია.

ხოლო კრისტოფ დაუმმა („კიოლნი") განაცხადა, რომ ფავორიტები არიან „ლევერკუზენი" და „ვოლფსბურგი". „ყველა „ბაიერნს" გაიძახის, მაგრამ მე ფსონს „ლევერკუზენსა" და „ვოლფსბურგზე" ვდებ" — თქვა კოკაინის ყოფილმა მყნოსავმა.

ბოლო ათ წელიწადში „ბაიერნს" მხოლოდ სამი გუნდი შეეცილა ჩემპიონობაში: „ვერდერი", „დორტმუნდი" და „შტუტგარტი".

„ბაიერნის" თავკაცი იურგენ კლინსმანი კი უკვე პანიკაშია. ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და კლუბის შეფები ამბობენ, რომ მწვრთნელი წნეხის ქვეშაა.

„დორტმუნდთან" სუპერთასზე, „ინტერთან" ამხანაგურ მატჩში წაგებამ და გერმანიის თასზე „ერფურტთან" ულიმლამო მოგებამ (4:3) მიუნხენური გუნდის თავკაცი იურგენ კლინსმანი ააწრიალა.

„დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს და ბევრი რამ შეცვალა გუნდში, მაგრამ შედეგებმა დაანახა, რომ საქმე ჯერ კარგად არ მიდის" — აღნიშნა ფრანც ბეკენბაუერმა, კარლ-ჰაინც რუმენიგემ კი დასძინა: „კლუბის შეფები მოთმინებით ვართ, თუმც გულშემატკივრებს ამის გაგონება არ სურთ. ისინი გამარჯვებებს ითხოვენ. ბუნდესლიგას ყოველ წელს ვერ მოვიგებთ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ყოველთვის უნდა ვიყოთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# სპალეტი: ყველაფერი კარგად იქნება



**იტალიური** „რომა" კვლავ გაძლიერებაზე ფიქრობს და ერთი-ორი ფეხბურთელის დამატება უნდა. თუმცა კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ფანებს ისიც შეაპარა, ისედაც საკმაოდ ძლიერები ვართო, მაგრამ იქვე დაამატა, ახლებს აუცილებლად ვიყიდითო.

„დარმწუნებული ვარ, კარგ მოთამაშეებს დავიმატებთ, რათა ბოლომდე დავკომპლექტდეთ. თუმცა ახლანდელი შემადგენლობითაც საკმაოდ ძლიერები ვართ და ბიჭებს ბოლომდე ვენდობი. ჩვენ არ შეგვიცვლია „ინტერში" წასული ამანტინო მანსინი, მაგრამ თასი მის გარეშეც მოვიგეთ. ასე რომ, მთავარია, გუნდმა მშვიდად და თავისი პოტენციალის სრული გამოყენებით იმუშავოს. გავიგე, დავიდ სუასოს გვიკავშირებენ. ჩვენ გვაქვს სია, რომლისგანაც ვეცდებით საუკეთესო ფეხბურთელები ამოვარჩიოთ. დიდმა მოთამაშეებმა იციან, მყისვე როგორ ჩაეწერონ გუნდის თამაშში, ამიტომ გადაწყვეტილების მიღება არ გვეჩქარება. შემიძლია, ფანები დავარწმუნო, რომ სეზონის დაწყებისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებით. ფაქტობრივად, წინა სეზონის დარი გუნდი გვყავს. დამატებითი იარაღი ალბერტო აკვილანია, ვისაც ტრავმის გამო ბევრი გაუცდა. იგი კარგ ფორმაშია და გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია" — თქვა სპალეტიმ.

ახლახან, „რომასადმი" ტკბილი სიტყვები არ დაიშურა იტალიის ნაკრების მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ. მიუხედავად იმისა, რომ კლუბი წინასასეზონო მოსამზადებელ პერიოდს მძიმედ გადის, „გლადიატორებს" ყველაფერი კარგად ექნებათო.

„ეს „რომას" წელი და სეზონია. „ჯალოროსის" „ინტერის" გვერდით დავაყენებდი. დაივიწყეთ ამხანაგურ შეხვედრაში „ტოტენჰემთან" 0:5 მარცხი, „გლადიატორები" მაშინ ათამაშდებიან, როცა საჭირო იქნება. არ ვიცი, მოიგებენ თუ არა სერია A-ს ან ჩემპიონთა ლიგას, მაგრამ ამის შანსი ნამდვილად აქვთ და ორივე ამ ტურნირზე სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ ნებისმიერს. თან დედაქალაქელებს ახალი მოთამაშეების დასამატებლად დრო ჯერ კიდევ აქვთ" — განაცხადა ლიპიმ.

ლუჩანო სპალეტი: „ძალიან ბევრი გუნდია, რომელსაც მომავალ სეზონში კარგად თამაში შეუძლია, მაგრამ დიდი მადლობა ლიპის კომპლიმენტისთვის. „ინტერის" დონეზე რომ ავიდეთ, ამისთვის ალბათ მისნაირი მწვრთნელი გვჭირდება!"

**ქოქი ქანდელაკი**

# ჩვენ პლუს ერთი

**„არსენალი"** აცხადებს, რომ „ტვენტესთან" საპასუხო მატჩამდე კიდევ ერთ ფეხბურთელს იყიდის. მატად თავისებური ფაქტია, რომ ამ ზაფხულს ლონდონელმა „მეთოფეებმა", ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი თვალშისაცემი ტრანსფერი განახორციელეს — „მარსელიდან" სამირ ნასრი შეიძინეს. ამის გარდა, მეტ-ნაკლებად აღსანიშნავია ყმაწვილების, აარონ რამზის და ამაური ბიშოფის შემატება, მაგრამ „მეთოფეთა" თავკაცს, არსენ ვენგერს დანაკლისი უფრო დიდი აქვს. ბოლო პერიოდში გუნდიდან წავიდნენ ალექსანდრ ჰლები, ჟილბერტუ სილვა, მატიე ფლამინი და იენს ლემანი.

„მეორე მატჩის წინ რამე უნდა მოვიმოქმედოთ — განაცხადა ვენგერმა ჰოლანდიაში გამარჯვების შემდეგ — შაბათამდე ანუ პრემიერლიგის დაწყებამდე ეს სასწრაფო არ არის, „ტვენტეს" კი უკვე გაძლიერებულნი უნდა დავუპირისპირდეთ".

ამის შემდეგ ფრანგმა მწვრთნელმა უარყო ეჭვი, რომ მისი გუნდი ახალ სეზონს მეტისმეტად მსუბუქად ხვდება.

„თუ იმ ფეხბურთელებს დააკვირდით, რომლებმაც „ტვენტეს" წინააღმდეგ ითამაშეს, დარწმუნდებოდით, რომ ჩვენი საქმეები კარგად მიდის. ჩვენ არ გვყავდნენ


სამირ ნასრი

ფაბრეგასი, დიაბი, როსიცკი, ნასრი, ტურე, ედუარდო და სენდეროსი, სონგი კი ოლიმპიადაზეა. ერთი სიტყვით, შვიდი თუ რვა მოთამაშე გვაკლდა, მაგრამ გუნდმა მაინც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, რადგან ვინც იყო, იმან ითამაშა ჩინებულად".

**პაპუნა ქედია**

## შუსტერის სამიზნეები

**მადრიდის** „რეალის" მთავარ მწვრთნელ ბერნდ შუსტერს სეზონის დაწყებამდე ორი ფეხბურთელის დამატება სურს და, როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, კანდიდატებად დავიდ ვილია და კლაას იან ჰუნტელაარი განიხილებიან. გერმანელმა სპეციალისტმა მადრიდელთა პრეზიდენტ რამონ კალდერონს და სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს უკვე გაანდო თავისი სურვილი და მათაც თანხმობა განაცხადეს.

## თეო, უნდა შეიცვალო

**„არსენალის"** გოლკიპერის მანუელ ალმუნიას განცხადებით, თეო უოლკოტმა თავისი პოტენციალის სრული გამოვლენისთვის ხასიათი უნდა შეიცვალოს.

„თეო მზადაა, უფრო მეტი პასუხისმგებლობა იტვირთოს. მას მხარდაჭერა არც ფანებისგან აკლია და არც თანაგუნდელებისგან. იგი გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოა და ერთადერთი, ხასიათის დახვეწალა აკლია. თეომ „საყვარელი ბიჭის" იმიჯი „თავნება, ჯიუტი ტიპის" იმიჯზე უნდა შეცვალოს და ეგებ მაშინ პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშეც გახდეს" — თქვა ესპანელმა მეკარემ.

## სკილბრედმა ალბიონი უარყო

**ნორვეგიული** „რუსენბორგის" თავდამსხმელმა ჰერ სილონ სკილბრედმა ინგლისური „ვესტ ბრომვიჩის" შემოთავაზება უარყო და სამშობლოში დარჩენა გადაწყვიტა. ფეხბურთელმა ტრონჰეიმელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„თავს კარგად ვგრძნობ, კმაყოფილი ვარ, რომ კლუბში დავრჩი. წინ შესანიშნავი დრო გველის, თანაც ერიკ ჰამრინის სახით ძალიან კარგი მწვრთნელი გვყავს და მოხარული ვარ, რომ მის გეგმებში შევდივარ" — განაცხადა სკილბრედმა.

## ღამურების ბრაზილიელი კიპერი

**ესპანურმა** „ვალენსიამ" ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრების მეკარე რენან ბრიტუსთან ხელშეკრულება დადო. კონტრაქტი ოთხი წლით გაფორმდა, „ღამურებს" კი „ინტერნასიონალიდან" ნიჭიერი ბრაზილიელი კიპერის გამოყვანა 4 მილიონი ევრო დაუჯდათ.

## გერერო დასაჯეს

**ფიფას** სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, პერუს ნაკრების ფორვარდი ხოსე პაოლო გერერო ექვსი მატჩითაა დისკვალიფიცირებული. მიზეზად ურუგვაისთან 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ფეხბურთელის მიერ ოფიციალური პირის შეურაცხყოფა სახელდება. ამასთან, „ჰამბურგის" მოთამაშე 10 მილიონი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდება.

## ტიაგუ გაკაჭკაჭდება?

**იტალიური** პრესის ცნობით, ტურინის „იუვენტუსის" ფეხბურთელი ტიაგუ მენდეში ინგლისურ „ნიუკასლში" იჯარის წესით გადაბარგდება. „კაჭკაჭების" წარმომადგენლები იტალიაში მოსალაპარაკებლად უკვე ჩავიდნენ. როგორც ჩანს, ინგლისელები პორტუგალიელს ერთწლიანი იჯარით აიყვანენ, ოღონდ შემდეგ მისი 10 მილიონ ევროდ გამოსყიდვის უფლებით.

## იუვეს ფრანგული სამიზნეები

**ტურინის** „იუვენტუსი" საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე ორი ფეხბურთელით დაინტერესდა. პირველი ფრედერიკ ნიმანია, რომელიც „მონაკოს" ღირსებას იცავს. 19 წლის ფეხბურთელმა პსჟ-სთან თამაშისას გამოიჩინა თავი. მას მეტსახელად „ახალ ადებაიორს" ეძახიან. რაც შეეხება „ბებერი ქალბატონის" მეორე სამიზნეს, ეს „ლე მანის" 22 წლის მოთამაშე მამადუ სამასაა.

## ბოტინელი გაფორმდა

**არგენტინელი** მცველი პაბლო ბოტინელი გენუის „სამპდორიას" ფეხბურთელი გახდა. 23 წლის მოთამაშე ლიგურიელთა რიგებში არგენტინული „სან ლორენსოდან" გადაბარგდა. ბოტინელის ხუთწლიანი კარიერის განმავლობაში 125 მატჩი აქვს ჩატარებული და მეტოქეთა კარი 12-ჯერ დაულაშქრავს. ტრანსფერის ღირებულება არ სახელდება.

## ლაციოს სატრანსფერო გეგმები

**რომის** „ლაციოს" დამრიგებელმა დელიო როსიმ განაცხადა, რომ სეზონის დაწყებამდე რამდენიმე ტრანსფერის განხორციელება სურს: ხელმძღვანელობას ვთხოვ, მოთამაშეები შეიძინოს. კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. აუცილებლად უნდა გავძლიერდეთ, თუმც ამისთვის საკმარისი სახსრები არ გაგვაჩნია — აღნიშნა „ბიანკოჩელესტის" თავკაცმა. იტალიური და ბრიტანული პრესის ცნობით, შესაძლოა, რომაელთა რიგებში შევიდი ფედერიკ ლიუნგბერგი და ასევე რამდენიმე ნახევარმცველი გადავიდეს.

## პიენაარმა თითი მოიტეხა

**ლივერპულის** „ევერტონის" ნახევარმცველმა სტივენ პიენაარმა შაბათს, პსვ-სთან ამხანაგური შეხვედრისას მარჯვენა ფეხის თითი მოიტეხა და მოედანზე დაბრუნებას, სავარაუდოდ, სექტემბრამდე ვერ შეძლებს. ასე რომ, სტივენს პრემიერლიგის გარდა უეფას თასის სტარტის გამოტოვებაც მოუხდება.

**არჩილ კობახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2008-2009
### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

# სამარცხვინო მოსკოვი
## ბატე ჯგუფისკენ მიაბოტებს

**თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა — წინა საკვალიფიკაციო ეტაპზე ვენის „რაპიდი" შინ 3:0 დაამარცხა, ამჯერად კი ასეთივე ანგარიშით „ოლიმპიაკოსს" გაუმასპინძლდა.

პოლონელმა ლუკაშ სოსინმა ჯერ პაპადოპულოსს გაატანინა, მერე კი თვითონ შეაგდო. სტუმრები მეორე ტაიმში გაყოჩაღდნენ და პენალტიც მოინაგრეს, მაგრამ მიტროღლუმ თერთმეტი მეტრიდან ბურთი ძელს გაარტყა.

ბოლოს „ანორთოსისმა" მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირა და ლაბანმა სხვაობა სამამდე გაზარდა.

მოსკოვში „სპარტაკმა" კარგად დაიწყო — ნიკიტა ბაჟენოვმა ცხრიანში გაიტანა, მაგრამ საპასუხო მალევე გაუშვა. მოცარტმა ბურთი მეკარეს ცუდად დაუბრუნა და დინამოელმა ისმაელ ბანგურამ პლეტიკოსას დაასწრო — 1:1.

ტაიმის მიწურულს მილევსკიმ მეკარის მოგერიებულს დაამატა და „დინამო" დაწინაურდა. მეორე ნახევრის დასაწყისში ბანგურამ შტრანცლი გაასულელა და მესამე შეაგდო, ბოლოს კი მანვე მარტინ ირანეკის შეცდომით ისარგებლა და მილევსკის გაატანინა. „სპარტაკის" გაბრაზებულმა მეკარემ პლეტიკოსამ ბურთი ირანეკს გაუქანა.

დამარცხებულთა მწვრთნელმა სტანისლავ ჩერჩესოვმა, რომელსაც ქომაგებმა უსტვინეს, განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს. ხოლო „სპარტაკის" ახალმა გენერალურმა დირექტორმა ვალერი კარპინმა მოსკოველთა თამაშს სამარცხვინო უწოდა.

ბელარუსის „ბატემ" სოფიაში „ლევსკის" მოუგო და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფისკენ მიიწევს. სტუმართა მეკარე სერგეი ვერემკომ 34-ე წუთზე გეორგი ივანოვს პენალტი აუღო.

„ბატემ" ერთადერთი საგოლე მომენტი შექმნა მთელი მატჩის განმავლობაში და ისიც გამოიყენა. მცველმა ვლადიმირ რჟევსკიმ თავით გაიტანა.

„ლევსკის" მწვრთნელი ველისლავ ვუცოვი ნამატჩევს გადადგა. მის ადგილს კი დროებით ემილ ველევი დაიკავებს. ეს იყო ევროარენაზე სოფიელთა ზედიზედ მეცხრე მარცხი.

ხოსეპ გვარდიოლას დებიუტი შთამბეჭდავი გამოდგა. „ბარსელონამ" კრაკოვის „ვისლას" იოლად სძლია. სამუელ ეტოომ, რომლის წასვლა-დარჩენაზეც ამ ზაფხულს საუბრობდნენ, დუბლი შეასრულა. ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა გაიტანა, მერე კი უფრო შორიდან. ხავიმ საჯარიმოს ხაზიდან შეაგდო, ხოლო ანრიმ მეკრეს გადაავლო ბურთი.



სამუელ ეტოო „ბარსაში" არათუ დარჩა, არამედ გოლებიც გააქვს

„შალკემ" მადრიდის „ატლეტიკოს" კრისტიან პანდერის საჯარიმო დარტყმით მოუგო, სტუმრებს კი 76-ე წუთზე ანტონიო ლოპესი გაუძევს. „ჩვენი მიზანი გამარჯვება და გოლის არგაშვება იყო, რასაც მივაღწიეთ" — განაცხადა კლუბის მენეჯერმა ანდრეას მიულერმა.

„შალკეს" პერუელმა ფორვარდმა ჯეფერსონ ფარფანმა მხარი იტკინა და შესაცვლელი გახდა. იგი ბუნდესლიგის პირველ ტურში ვერ ითამაშებს და, ალბათ, მადრიდში საპასუხო მატჩსაც გამოვოვებს.

„არსენალმა" „ტვენტე" მეორე ტაიმში გატეხა. ვილიამ გალასმა ლამის კარის ხაზიდან გაიტანა, ხოლო უოლკოტმა ადებაიორი მეკარესთან პირისპირ დატოვა და ტოგოელმა მომენტი გამოიყენა.

„სტანდარდთან" უგოლო ფრის შემდეგ, „ლივერპულის" მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა აღიარა, რომ მისი გუნდი მარცხს გადაურჩა. პირველ ტაიმში სტუმართა კარში პენალტი დანიშნეს — ანდრეა დოსენას ბურთი ხელზე მოხვდა. ხოსე რეინამ იყოჩაღა და ანტე ბონფიმს არ გაატანინა. „სტანდარდს" აურაცხელი საგოლე ეპიზოდი ჰქონდა, 67-ე წუთამდე სტივენ ჯერარდის გარეშე მოთამაშე „ლივერპულმა" კი ვერაფერი შექმნა.

„მეტოქეს, მგონი, ეძინა და ჩვენ გავაღვიძეთ" — განაცხადა მასპინძელთა თავკაცმა ლასლო ბოლონიმ.

„იუვენტუსმა" ისე გაშმაგებით შეუტია „არტმედიას", რომ მეორე წუთისთვის სამი კუთხურის ჩაწოდება მოასწრო, მეშვიდეზე კი დაწინაურდა. მაურო კამორანეზიმ ანგარიში გახსნა, დელ პიერომ კი თავისებურად დააბზრიალა და ცხრიანში ულამაზესი გოლი შეაგდო.

მერე მცველების ჯერი დადგა. ჯერ კიელინიმ გაიტანა თავით, შემდეგ — ლეგროტალიემ.

„ოთხბურთიანი სხვაობით მოგების გამო დამშვიდება არ შეიძლება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ გუნდს „სელტიკი" 5:0 დაუმარცხებია" — აღნიშნა კლაუდიო რანიერიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვიდიჩმა ფინალი ერთხელ გადაახვია

**„მანჩესტერ იუნაიტედის" ვებგვერდზე გამოქვეყნდა ნემანია ვიდიჩის ინტერვიუ, რომელშიც სერბი მცველი გასულ ტრიუმფალურ სეზონს იხსენებს და მომავალზე ბჭობს**



**— გასულ სეზონში ორი ჯილდო მოიგეთ და შვებულებაც ალბათ უფრო ხალისიანად გაატარეთ...**

— საუცხოოდ დავისვენე. პრემიერლიგის და ჩემპიონთა თასის მოგებამ ხასიათი ერთიორად გამომიკეთა, მაგრამ ეს უკვე გუშინდელი დღეა და ახალ სეზონზე უნდა ვიფიქროთ.

ამჟამად გუნდში კარგი განწყობაა და ყველას შეგნებული გვაქვს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები ვართ. ჩვენ მუდამ გამარჯვებისთვის ვიბრძვით, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ტიტული გვექნება მოგებული.

**— რამდენჯერ ნახეთ გამეორებით ლიგის ფინალის პენალტების სერია?**

— მხოლოდ ერთხელ და დავრწმუნდი, რომ დიდებული მატჩი გამოვიდა. განსაკუთრებით კარგად პირველ ტაიმში ვითამაშეთ. პენალტების სერია კარგად მახსოვს და როცა ჯონ ტერიმ ააცილა, სიხარულისგან ვეღარაფერს ვგრძნობდი.

**— თქვენ პენალტის დარტყმა არ მოგიწიათ...**

— ჯერ რიო ფერდინანდს უნდა დაერტყა და მერე ჩემი რიგი მოდიოდა, მაგრამ ანელკას ვან დერ სარმა აუღო და აღარ მომიწია. ფანტასტიკური მოგონებები გამომყვა ფინალისგან და კიდევ მინდა, რომ იგივე განვიცადო. ამ ტიტულმა ვერ დამაპურა და მთელი გუნდი გამარჯვებებს კვლავაც მოწყურებულია.

**— გაქვთ თუ არა იმის შეგრძნება, რომ გასული სეზონის ტრიუმფალური დასასრული რაღაც განსაკუთრებულის დასაწყისი გახდა?**

— ალბათ ასეა. „მანჩესტერში" გამოცდილი ფეხბურთელები არიან, რომლებიც ახალგაზრდებს ცოდნას უზიარებენ. ვიმედოვნებ, რომ ტრიუმფი კიდევ გველის, თუმც თვითონაც ნახეთ, რა რთულია ფინალში მოგება, სადაც თამაშის ბედს წვრილმანები წყვეტს.

**— ყოველი სეზონის წინ ალექს ფერგიუსონი საგანგებო კრებაზე ფეხბურთელებს მიზნებს აცნობს. ასეთი შეკრება უკვე იყო?**

— ჯერჯერობით არაფერი უთქვამს, მაგრამ ისედაც ვიცით, რომ ჩვენი მიზანი ყველა ტურნირში გამარჯვებაა. საკმაოდ კარგად მოვემზადეთ და იმედიანად ვართ.

# ბატისტა ფრთხილობს

**არგენტინის** ნაკრები ოლიმპიადაზე გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. „ალბისელესტე" მეოთხედფინალში ჰოლანდიას შეხვდება. მართალია, „ნარინჯისფერებს" ძალიან გაუჭირდათ ჯგუფიდან გასვლა და ჯერჯერობით არადამაჯერებლად გამოიყურებიან, მაგრამ არგენტინელთა მწვრთნელი სერხიო ბატისტა მაინც ფრთხილობს.



ლეო მესი

მან იმაზეც ისაუბრა, თუ რატომ დაასვენა ჯგუფური ეტაპის მესამე მატჩში (არგენტინამ სერბეთს 2:0 მოუგო) რამდენიმე ლიდერი, ჩინელი ქომაგები განსაკუთრებით ლიონელ მესის სათადარიგოთა სკამზე ჯდომამ გაანაწყენა. ისინი „ბარსელონას" ვარსკვლავის მინდორზე გასვლას დაჟინებით მოითხოვდნენ.

„ჰოლანდიის ნაკრებს ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. „ნარინჯისფერთა" შემადგენლობაში რამდენიმე სახიფათო ფეხბურთელია. მე კი მახარებს, რომ 18 მოთამაშე მყავს და მინდა, შანსი ყველას მივცე. სერბეთთან შეხვედრაში ცოტა მოდუნების უფლება გვქონდა, ლიდერები დავასვენე, ასე იყო საჭირო. ჩინელი ქომაგები უფრო მომთმენები უნდა იყვნენ. ცხადია, ჩვენთვის ნაკრების ინტერესები ყველაზე მაღლა დგას და მესის გარდა, სხვა ფეხბურთლებეიც გვყავს, რომლებმაც ასევე უნდა ითამაშონ" — თქვა ბატისტამ.

**ქოქი ქანდელაკი**

# სანტა კრუსი არ იყიდება



**„ბლექბერნმა"** „მანჩესტერ სიტის" როკე სანტა კრუსის მიყიდვაზე უარი უთხრა. შეგახსენებთ, რომ 26 წლის პარაგვაელმა თავდამსხმელმა გასულ სეზონში 23 გოლი გაიტანა და არათუ „მანჩესტერ სიტის", არამედ თვით დიდი კლუბების, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „არსენალის" ყურადღების ცენტრშიც მოექცა.

„ჩვენთან „მანჩესტერ სიტისგან" ოფიციალური წინადადება შემოვიდა, მაგრამ ჩვენ ის მყისიერად უარვყავით — წერია „ბლექბერნის" გუშინდელ განცხადებაში — სამწუხაროა, რომ „სიტის" ხელმძღვანელობას მკაფიოდ განვუცხადეთ, რომ სანტა კრუსის გაყიდვას არ ვაპირებთ, მაგრამ მათ ამ თემაზე მაინც არ აიღეს ხელი".

საინტერესოა, რომ ერთი წლის წინ, როდესაც სანტა კრუსი „ბაიერნისგან" იყიდეს, მისი ფასი 3,5 მილიონი გირვანქა იყო, ახლა კი, თუმცა ოფიციალურად არავინ არაფერს ადასტურებს, ამბობენ, რომ „სიტი" პარაგვაელში 12 მილიონს იხდიდა.

**პაატა ქედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2008-2009
### II საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

მეტალურგსი (ლატვია) 0:2 ვასლუი (რუმინეთი)
ბორაცი (სერბეთი) 1:0 ლოკომოტივი (ბულგარეთი)
ჰონკა (ფინეთი) 0:0 ვიკინგი (დანია)
ვოივოდინა (სერბეთი) 0:0 ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)
ჰაკა (ფინეთი) 0:4 ბრონდბიუ (დანია)
ლეგია (პოლონეთი) 1:2 მოსკვა (რუსეთი)
შტუტგარტი (გერმანია) 2:1 დიორ ეტო (უნგრეთი)
აპოელი (კვიპროსი) 2:2 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
იურგორდენი (შვედეთი) 2:1 რუსენბორგი (ნორვეგია)
ელფსბორგი (შვედეთი) 2:2 სენტ პატრიკსი (ირლანდია)
ლიტექსი (ბულგარეთი) 0:0 ჰაპოელი (კირიათ შმონა, ისრაელი)
სტაბეკი (ნორვეგია) 2:1 რენი (საფრანგეთი)
სუდუვა (ლიტვა) 1:4 ზალცბურგი (ავსტრია)
იანგ ბოიზი (შვეიცარია) 4:1 დებრეცენი (უნგრეთი)
გენტი (ბელგია) 2:1 კალმარი (შვედეთი)
არისი (საბერძნეთი) 1:0 სლავენი (ხორვატია)
დნიპრო (უკრაინა) 3:2 ბელინცონა (შვეიცარია)
კოპენჰაგენი (დანია) 3:1 ლილესტრიომი (ნორვეგია)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია) 1:4 ასტონ ვილა (ინგლისი)
ლიბერეცი (ჩეხეთი) 1:2 ჟილინა (სლოვაკეთი)
მაკაბი (ნეთანია, ისრაელი) 1:1 ჩერნო მორე (ბულგარეთი)
ციურიხი (შვეიცარია) 1:1 შტურმი (ავსტრია)
აეკ (საბერძნეთი) 0:1 ომონია (კვიპროსი)
შიროკი ბრიაგი (ბოსნია) 1:2 ბეშიქთაში (თურქეთი)
ვლაზნია (ალბანეთი) 0:3 ნაპოლი (იტალია)
ბრაგა (პორტუგალია) 1:0 ზრინსკი (ბოსნია)
ინტერბლოკი (სლოვენია) 0:2 ჰერტა (გერმანია)
ლეხი (პოლონეთი) 6:0 გრასჰოპერსი (შვეიცარია)
მანჩესტერ სიტი (ინგლისი) 0:1 მიდტიულანდი (დანია)
ქუინი (შოტლანდია) 1:2 ნორდსიელანდი (დანია)
დეპორტივო (ესპანეთი) 0:0 ჰაიდუკი (ხორვატია)

### მექსიკა
აპერტურა. IV ტური
ტოლუკა 0:1 გვადალახარა

### ინგლისი
კონფერენსლიგა. II ტური
იორკი 1:0 რექსემი

### შვედეთი
სუპერეტა. XIX ტური
ენჩიოპინგი 2:1 ჰეკენი
იონკოპინგი 0:0 მიალბი
იორგრიტე 2:2 ატვიდაბერგი

### ამხანაგური მატჩები
სამპდორია 3:1 კარარეზე
ვალიადოლიდი 2:0 ტენერიფე


„მანჩესტერ სიტის" ფელიპე კაისედო და მიდტიულანდელი კრისტოფერ პოულსენი


ზესტაფონელებს რომ ვკოჩიღოთ, შტუტგარტელ კიპრიან მარიკას შემოჭველები „დიორ ეტოს" კი არა, ქართველი ფეხბურთელები იქნებოდნენ



ბერლინელი მარკო პანტელიჩი ინტერბლოკელთა მეკარესთან ბორისპარ


იანგბოიზელი ალბერტო რეგაზონის გოლი უნგრელთა კარში

# საქართველოდან მიდიოდნენ... სიძე რჩება, ზოგი თამაშობს

**საქართველოს** ჩემპიონატში მოთამაშე გუნდების დიდმა ნაწილმა სავარჯიშო პროცესი შეწყვიტა. „ზესტაფონმა" ბოლოს ორშაბათს ივარჯიშა და თემურ მახარაძემ ფეხბურთელები სახლში გაუშვა.

იმერული კლუბის ბრაზილიელი ლეგიონერები, ჟილვან ვიეირა, ჟონატას ტორესი და ედსონ სანტოსი, რუსებმა ომი რომ დაგვიწყეს, რამდენიმე დღე საქართველოდან ფეხს არ იცვლიდნენ, მაგრამ ჩვენი მეზობლის უზნეობა და ბომბები რომ აღარ შეწყდა, თავი თურქეთს შეაფარეს. როგორც შევიტყვეთ, ისინი სარფში არიან და ზესტაფონში მდგომარეობის განმუხტვის მერე დაბრუნდებიან. აი, კამერუნელი ლეგიონერები, ბოიომო ფრიდოლინი და ერიკ რომეო ჩასემი კი საქართველოში რჩებიან. ისინი თბილისში არიან. ცნობისთვის: ფრიდოლინის ქართველი მეუღლე ჰყავს.

ძნელი სათქმელია, როდის განაახლებს „ზესტაფონი" ვარჯიშს.

რუსთავის „ოლიმპიც", უკვე სამი დღეა, არ ვარჯიშობს. როგორც რუსთაველთა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა გვითხრა, გუნდი 17 აგვისტომდე იძულებით შვებულებაშია. იმედი გვაქვს, ეს სისხლიანი დღეები აღარ გაგრძელდება და ქართველ ხალხს ნორმალური ცხოვრების საშუალება მიეცემა.

თბილისის „ლოკომოტივი" ორი დღე არ ვარჯიშობდა, მაგრამ გუნდმა წვრთნა უკვე განაახლა, თუმც სრულფასოვანი ვარჯიშები ვერ ტარდება. იგივე ითქმის ბოლნისის „სიონზეც", ბოლნისელები დილაობით ფიზკულტურის ინსტიტუტის დასანგრევად განწირულ მოედანზე იკრიბებიან და ორკარას თამაშობენ.

თბილისის „დინამოს" უცხოელებმა საქართველო რომ დატოვეს, ამაზეც გვეწერა. დინამოელები დილმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობენ. გერმანელი მთავარი მწვრთნელის რაინერ ცობელის საქმეს კახა კაჭარავა ითავსებს. თბილისელებთან ერთად ვარჯიშობს ზაალ ელიავაც, რომელიც „დინამომ" რიგის „სკონტოდან" 6 თვით ინათხოვრა.

რა გასაკვირია, ცხინვალის „სპარტაკიც" რომ უქმადაა, ასევე არ ვარჯიშობენ „ბორჯომი", ახალციხის „მესხეთი" და ზუგდიდის „მგლები".

„გაგრაში" კი მწვრთნელი შეიცვალა, გუნდი გია ჭიაბრიშვილმა დატოვა. მისი ადგილი „ბორჯომის" ყოფილმა თავკაცმა ვოვა ხაჩიძემ დაიკავა და გუშინ ტესტ-მატჩიც გამართა „ნორჩ დინამოელთან" და 4:1 მოიგო.



ბოიომო ფრიდოლინი

წვრთნა არ შეუწყვეტია თბილისის „ვიტ ჯორჯიას". გუნდი მცხეთაშია შეკრებაზე . შეგახსენებთ, რომ ვიტელები უეფას თასზე ვენის „აუსტრიასთან" ერთ თამაშს ჩაატარებენ. უეფამ ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო მიიღო. მატჩი ვენაში 28 აგვისტოს ჩატარდება.

**ნუკრი ლოლაძე**

# აქაც რუსთა ახირების მსხვერპლნი
## საკარდიფო შემადგენლობა ალბათ კარდიფშივე გაირკვევა



პეტარ სეგრტი უელსს აზერბაიჯანში აგეთებს

**საქართველოს** ნაკრები ოთხშაბათს უელსში, იქაურებს ამხანაგურად უნდა დაუპირისპირდეს, მაგრამ ჩვენში არსებული საომარი ვითარების გამო, ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, იმ მატჩისთვის რომელი ფეხბურთელები უნდა მოემზადონ. უელსში წამსვლელი ბევრი ფეხბურთელის ვინაობა უკვე ცნობილი კი არის, მაგრამ ერთი-ორი ფეხბურთელის საკითხი ჯერაც გაურკვეველია...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საუელსო დელეგაცის ერთი ნაწილი ბრიტანეთის ვიზების მისაღებად გუშინ ბაქოში გაამგზავრა, რადგანაც ბრიტანეთის საელჩოს საქართველოში მუშაობა დროებით შეჩერებული აქვს. ჩვენების თხოვნა აზერბაიჯანში თუ დააკმაყოფილეს, დელეგაცია კარდიფში ბაქოდანვე გაემგზავრება, სხვა შემთხვევაში კი, ცხადია, უკანვე დაბრუნება მოუწევს.

გუშინ ბაქოში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორ ხორვატ პეტარ სერგტს დავურკეთ რომელიც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელიცაა...

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა მთხოვა, გუნდს ბაქოში გავყოლოდი. მოგეხსენებათ, საქართველოში რა რთული მდგომარეობაცაა და ბრიტანეთის საელჩო არ მუშაობს, ამიტომ მათ აზერბაიჯანში მივმართეთ თხოვნით, ვიზების თაობაზე. სავარაუდოდ, ჩვენს თხოვნას ხვალ დააკმაყოფილებენ.

**— საქართველოდან რამდენი ფეხბურთელი წაიყვანეთ?**

— სულ თორმეტი.

**— ჩვენი ნაკრების ახალი თავკაცი ექტორ კუპერი და ლეგიონერები პირდაპირ კარდიფში შემოგიერთდებიან?**

— დიახ, ისინი კარდიფში დაგვხვდებიან.

ცნობილია, რომ უელსთან ვერ ითამაშებს ჩვენი ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე. იტალიურმა „მილანმა", კალაძეს ტრავმა აქვსო და, გართულებების მოსარიდებლად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და კლუბი შეთანხმდნენ, რომ კალაძე ამჯერად ნაკრებში არ იქნება.

რუსული „რუბინისა" და ნალჩიკის „სპარტაკის" უაზრო ახირებების შედეგად ეროვნულ გუნდში არ იქნებიან ლაშა სალუქვაძე, გოგიტა გოგუა, ალეკო ამისულაშვილი და დავით სირაძე. ეს ფეხბურთელები ყაზანელებმა და ნალჩიკელებმა ბრიტანეთის ვიზების მისაღებად მოსკოვშიც არ გაუშვეს.

ჯერჯერობით კი საქართველოს ნაკრების საუელსო წინასწარი შემადგენლობა ასეთია:

***მეკარეები:*** *დავით ლორია, გიორგი მაკარიძე, როინ კვასხვაძე;*

***მცველები:*** *ალექსანდრე კვახაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, გიორგი ნავალოვსკი, უჩა ლობჟანიძე, მალხაზ ასათიანი;*

***ნახევარმცველები:*** *ლევან კობიაშვილი, ლევან ყენია, დავით მუჯირი, ირაკლი კლიმიაშვილი, ლევან ხმალაძე, დავით ოდიკაძე, დავით დევდარიანი;*

***თავდამსხმელები:*** *ბექა გოცირიძე, რატი ალექსიძე, ალექსანდრე იაშვილი, რევაზ ბარაბაძე.*

ამ სიას, სავარაუდოდ, ერთი-ორი ფეხბურთელი კიდევ დაემატება, ხოლო სავიზო პრობლემების გამო შესაძლოა, ვინმე გამოაკლდეს კიდეც. საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი კი, როგორც აქამდეც გაცნობეთ, გუნდს კარდიფში დახვდება და პირველი ნაცნობობაც იქ შედგება.

...ჯერ კიდევ გაურკვეველია სად შედგება საქართველო — ირლანდიის 6 სექტემბრის კალენდარული შესარჩევი მატჩი. ირლანდიელებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თბილისში ჩამოსვლისთვის უსაფრთხოების გარანტიები მოსთხოვეს, რასაც ჩვენები ჯერჯერობით ვერ იძლევიან. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, ფიფაც ჩართულია და უეფაც, მაგრამ ჯერჯერობით საბოლოო სიტყვას ვერც ისინი ამბობენ. ჩვენი ფედერაციის გენმდივან უჩა უგულავას თქმით, 6 სექტემბრამდე ქვეყანაში შექმნილი ვითარება ეგებ გამოსწორდეს და არის შანსი, საქართველომ ამ შესარჩევის პირველი მეტოქე თბილისში მიიღოს.

აქვე კი გვახსენდება, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ასევე სექტემბერში რუსეთში ელის ოფიციალური მატჩი. უჩა უგულავამ გვითხრა, რომ ფეხბურთის ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რუსეთ — საქართველოს მატჩი ნეიტრალურ მოედანზე რომ გაიმართოს.

ვნახოთ, რა როგორ იქნება...

**კობა ინასარიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge